

მითითება: EECA/TS/005-12/01/2015
12 იანვარი 2015 წელი

ბ-ნ ამირან გამყრელიძე
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის
აღმასრულებელი დირექტორი
ასათიანის ქ. #9
0186, თბილისი, საქართველო

საგანი: პროგრამის გრანტის ხელშეკრულება: GEO-H-NCDC

ძირითადი მიმღები: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

განხორციელების წერილი: 1

გრანტის ხელშეკრულების შესრულების სტრუქტურის, შემაჯამებელი ბიუჯეტის,
დანართი "ა" და სტანდარტული პირობების განახლება

არაოფიციალური მიმოხილვა:

წინამდებარე წერილი ითვალისწინებს "გრანტის ხელშეკრულების" "შესრულების სტრუქტურის",
"შემაჯამებელი ბიუჯეტის", "დანართის "ა" და "ხელშეკრულების სტანდარტული პირობების"
განახლებას დართული დამუშავებული ვერსიებით.

ბ-ნო გამყრელიძე

ამ წერილს გწერთ (i) გრანტის ხელშეკრულების GEO-H-NCDC დაფინანსების პროგრამის
პირველი ნაკადის ეფექტურობის მაჩვენებლების სტრუქტურისა და შემაჯამებელი ბიუჯეტის
შეცვლას წინამდებარე წერილზე დართული შეცვლილი ვერსიებით და (ii) დანართში "ა"
მოცემული "წინაპირობებისა და სპეციალური პირობების განახლებას" შესრულებული
"წინაპირობების" გაუქმებით და გარკვეული "სპეციალური პირობების" გადადებით.

"შესრულების შეცვლილმა სტრუქტურამ" უნდა განახლოს "ძირითადი მიმღების" მიერ
ფინანსური ანგარიშების აუდიტის წარდგენის ვადები ფინანსური წლის ბოლოს ექვსიდან სამ

თვემდე, "გლობალური ფონდის საგრანტო პროგრამის ფინანსური ანგარიშების წლიური აუდიტების განახლებული ინსტრუქციების" შესაბამისად.

უფრო მეტიც, "შესრულების სტრუქტურის" შეცვლა მიზნად ისახავს სოციალური რისკ ჯგუფების საბაზისო პაკეტის მნიშვნელობის განახლება და შემდეგი მაჩვენებლების შესწორება: (i) აივ ინფექცია/შიდსის ტესტ დადებითი ახალი პაციენტების თანაფარდობა, რომლებიც ირიცხებიან ჯანდაცვის სამსახურებში (ანტირეტროვირუსულ (არვ) მკურნალობამდე ან მკურნალობის შემდგომ (არვ))"; (ii) პაციენტების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც გადიან ოპოიდურ ჩანაცვლებით მკურნალობას სულ მცირე ბოლო 6 თვის განმავლობაში"; (iii) „ტუბერკულოზზე შემოწმებული სოციალური რისკ ჯგუფების პროცენტული მაჩვენებელი“; (iv) მოზრდილებისა და ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც დაიწყეს ანტირეტროვირუსულ ა ტერაპია, განუსაზღვრელი ვირუსული დატვირთვით 12 თვეზე (<1000 ასლი/მლ)“; და (v) აივ ინფექცია/შიდსის პარალელურად C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების რაოდენობა, რომლებიც გადიან მკურნალობას C ჰეპატიტზე“.

შედეგად, „შემაჯამებელი ბიუჯეტი“ შესწორდა ჯანდაცვის ნაწარმის რაოდენობების აღრიცხვის მიზნით.

გარდა ამისა, "გლობალური ფონდის" ახალი ფინანსური სისტემის განვითარებით გამოწვეულ "გრანტის ხელშეკრულების სატიტულო ფურცელზე" არა არსებითი მნიშვნელობის ცვლილებებთან დაკავშირებით, გვსურს განვაახლოთ "გრანტის ხელშეკრულების სატიტულო ფურცელი" "გრანტის ფურცლის სატიტულო ფურცელზე" რამდენიმე ნაწილის გაუქმებითა და ხელახალი დანომვრით. განსაკუთრებით, "გრანტის ხელშეკრულების სატიტულო ფურცელზე" 6 ნაწილში ახლა მოცემულია "გლობალური ფონდის" მიერ "ძირითადი მიმღებისთვის" მხოლოდ მიმდინარე განხორციელების პერიოდისთვის გამოყოფილი საგრანტო სუბსიდიები. მე-6 ნაწილში მითითებული თანხა, "გრანტის ხელშეკრულების" პირობების თანახმად, ქვეყნის შიგნით მოძრავი თანხის ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელსაც "ძირითადი მიმღები" ფლობს მიმდინარე განხორციელების პერიოდის დასაწყისისთვის და რომელიც დარჩენილი იყო განხორციელების წინა პერიოდიდან, ხელმისაწვდომია მიმდინარე განხორციელების პერიოდში "პროგრამული" საქმიანობის განსახორციელებლად.

გვსურს წინამდებარე ""შესრულების წერილის" ""გრანტის ხელშეკრულების თავფურცლიდან" მოვშალოთ გარკვეული თარიღები, ინფორმაცია "გრანტის ხელშეკრულების თავფურცლიდან" დასრულების ვადები/თარიღების შესახებ გადავიტანოთ "გრანტის ხელშეკრულების დანართში "ა", ასევე განვაახლოთ "გრანტის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში" მოცემული გარკვეული ჯვარედინი მითითებები. ჩვენ ვიყენებთ შესაძლებლობას და გვსურს განვმარტოთ "გრანტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების" 31-ე მუხლი, იმ პირობით, რომ მხარე იყენებს "ხელშეკრულების" ფარგლებში მისთვის პირდაპირი გზით მინიჭებულ ცალმხრივ უფლებებს ან დისკრეციულ უფლებამოსილებას, "გრანტის ხელშეკრულების" არავითარი ცვლილება ან გასწორება საჭირო არ არის. არცერთი აღნიშნული ცვლილება არ იქონიებს გავლენას "გრანტის ხელშეკრულებით" გათვალისწინებულ "ძირითადი მიმღების" უფლება-მოვალეობებზე.

"გრანტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების" 31-ე მუხლის თანახმად, ჩვენ ვცვლით "გრანტის ხელშეკრულებას", რომელშიც შევა ზემოთ აღწერილი ცვლილებები:

1. "გრანტის ხელშეკრულების სატიტულო ფურცელი" მთლიანად გაუქმდება და შეიცვლება დართული "თავფურცლით".
2. "გრანტის ხელშეკრულების დანართი "ა" მთლიანად გაუქმდება და შეიცვლება დართული "დანართით "ა".
3. "ა" დანართის" დამატება სახელწოდებით "შესრულების სტრუქტურის მაჩვენებლები, მიზნები და პერიოდები" მთლიანად გაუქმდება და შეიცვლება წინამდებარე წერილზე დართული შესწორებული დოკუმენტით სახელწოდებით "შესრულების სტრუქტურის 4 და 5ა წლები: მაჩვენებლები, მიზნები და პერიოდები".
4. "გრანტის ხელშეკრულების შემაჯამებელი ბიუჯეტი" მთლიანად გაუქმდება და იცვლება წინამდებარე წერილზე დართული "შემაჯამებელი საბიუჯეტო წელი 4 და 5ა".
5. "გრანტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების" მე-3 მუხლი იცვლება მეოთხე ("მითითებული წინამდებარე ხელშეკრულების თავფურცლის მე-5 ნაწილში") და მეხუთე ("მითითებული წინამდებარე ხელშეკრულების თავფურცლის 7 ნაწილში") ხაზების წაშლით.
6. "გრანტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების" მე-4 მუხლი მთლიანად გაუქმდება და იცვლება შემდეგნაირად:

წინამდებარე "ხელშეკრულების" თავფურცლის მე-5 ნაწილის თანახმად, მიმდინარე "განხორციელების პერიოდში" "გლობალური ფონდი" "ძირითად მიმღებს" გადასცემს თანხას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე "ხელშეკრულების" თავფურცლის მე-6 ნაწილში მითითებულ თანხას, რომელიც ხელმისაწვდომი გახდება "ძირითადი მიმღებისთვის" წინამდებარე "ხელშეკრულების" პირობების ფარგლებში. წინამდებარე "ხელშეკრულების" ფარგლებში "გრანტში" გათვალისწინებული უნდა იყოს წინამდებარე "ხელშეკრულების" თავფურცლის მე-6 ნაწილში მითითებული თანხები "გლობალური ფონდის" მიერ "ძირითადი მიმღებისთვის" "პროგრამის" განსახორციელებლად მანამდე გამოყოფილ ნებისმიერ თანხასთან ერთად. "ძირითადმა მიმღებმა" "გრანტის სუბსიდიები" შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ "პროგრამული" საქმიანობის განსახორციელებლად, რომლებიც ჩარმოიშობა "გრანტის პერიოდში" ან "გლობალური ფონდის" მიერ წერილობითი შეთანხმების შესაბამისად.

7. "გრანტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების" მე-5 მუხლის (ვ) ნაწილი სწორდება მეორე და მეოთხე ხაზებში "მე-9 ნაწილის" გაუქმებით და მისი "მე-7 ნაწილით" ჩანაცვლებით.
8. "გრანტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების" მე-8 მუხლი შეიცვლება შემდეგნაირად:
 - ა. მე-8(ა) მუხლის მეორე ხაზში ნახსენები "მე-12 ნაწილი" გაუქმდება და შეიცვლება "მე-9 ნაწილით"; და
 - ბ. მე-8(გ) მუხლის მეორე ხაზში ნახსენები "მე-12 ნაწილი" გაუქმდება და შეიცვლება "მე-9 ნაწილით".
9. "გრანტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების" მე-10(ა)(iii) მუხლი მთლიანად გაუქმდება და შეიცვლება შემდეგნაირად:

iii. "ძირითადი მიმღები" "გლობალური ფონდისთვის" მისაღები ფორმითა და შინაარსით აკმაყოფილებს დანართში "ა" მითითებულ წინაპირობებს ან სპეციალურ პირობებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და წინამდებარე "ხელშეკრულებაში" აღნიშნულ საბოლოო ან სპეციალურ პირობებში მითითებული სხვა თარიღის ვადაში;

10. "გრანტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების" მე-13(ბ) მუხლი იცვლება შემდეგნაირად: მესამე და მეოთხე ხაზებში ფრჩხილებში ჩასმული ენა უნდა წაიშალოს და შეიცვალოს შემდეგით:

(როგორც ეს მითითებული იყო წინამდებარე "ხელშეკრულების" თავფურცლის მე-8 ნაწილში, ის შეიძლება დროდადრო შეიცვალოს წერილობითი შეტყობინების საფუძველზე)

11. . "გრანტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების" 25-ე მუხლი მთლიანად გაუქმდება და შეიცვლება შემდეგნაირად:

"ძირითადი მიღების" ან "გლობალური ფონდის" მიერ წარდგენილი ნებისმიერი შეტყობინება, მოთხოვნა, დოკუმენტი, ანგარიში ან სხვა ინფორმაცია, თუ სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული წინამდებარე "ხელშეკრულებით", უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს: (i) წინამდებარე "ხელშეკრულების თავფურცლის" მე-12 ან მე-13 ნაწილებში მითითებულ "უფლებამოსილ წარმომადგენელს", საჭიროების შემთხვევაში, ან (ii) წინამდებარე "ხელშეკრულების" თავფურცლის მე-10 ან მე-11 ნაწილებში მითითებულ შეტყობინების სახელზე ან მისამართზე, საჭიროებისამებრ; თითოეული შეიძლება დროდადრო შეიცვალოს მეორე მხარისთვის შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. ყველა მსგავსი დოკუმენტი უნდა გადამრავლდეს CCM-ში. "გლობალურ ფონდთან" LFA-ს საშუალებით კომუნიკაციის შემთხვევაში, "ძირითადმა მიმღებმა" უნდა წარუდგინოს ეს საკომუნიკაციო ინფორმაცია წინამდებარე "ხელშეკრულების" თავფურცლის მე-9 ნაწილში დასახელებულ პირს. წინამდებარე "ხელშეკრულების" ფარგლებში განხორციელებული ყველა საკომუნიკაციო საშუალება უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.

12. "გრანტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების" 31-ე მუხლი მთლიანად გაუქმდება და შეიცვლება შემდეგნაირად:

მუხლი 31. შეცვლა ან შესწორება

გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარე იყენებს წინამდებარე "ხელშეკრულებით" მინიჭებულ ცალმხრივ უფლებებს ან დისკრეციულ უფლებამოსილებას, წინამდებარე "ხელშეკრულებაში" შესული ნებისმიერი ცვლილება გარდა წერილობითი ფორმისა, იქნება არაეფექტური, თუ ის ხელმოწერილი არ იქნება „გლობალური ფონდის“ უფლებამოსილი წარმომადგენლისა და „ძირითადი მიმღების“ უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

13. "გრანტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების" 38-ე მუხლი იცვლება მესამე ხაზში „მე-15 და მე-16 ნაწილების გაუქმებით“, რომლებიც შეიცვლება „მე-12 და მე-13 ნაწილებით“.

14. "გრანტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები" შეიცვლება წინამდებარე წერილზე დართული შესწორებული ვერსიით, სადაც ასახული იქნება მე-5-13 პარაგრაფებში აღწერილი ცვლილებები.

15. „გრანტის ხელშეკრულების“ ფარგლებში, შემდეგი ტერმინები უნდა განიმარტოს შემდეგნაირად:

ა. გრანტის დაწყების თარიღი: 1 აპრილი, 2014 წელი

ბ. გრანტის დასრულების თარიღი: 31 დეკემბერი, 2015 წელი

გარდა წინამდებარე წერილში აღწერილისა, „გრანტის ხელშეკრულების“ ყველა სხვა პირობა დარჩება უცვლელი.

გთხოვთ დაადასტუროთ თქვენი თანხმობა აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით წინამდებარე წერილის ორ ასლზე ხელის მოწერით და ორივე ეგზემპლარის გამოგზავნით. ზემოთ ხსენებული ცვლილებები ძალაში შევა ქვემოთ აღნიშნული „გლობალური ფონდის“

ფინანსური დირექტორის“ (ან მისი დანიშნული წარმომადგენლის) მიერ მათზე ხელმოწერისთანავე. ამ წერილის ერთი ასლი სააღრიცხვოდ დაგიბრუნდებათ თქვენ მას შემდეგ, რაც „გლობალური ფონდის ფინანსური დირექტორი“ (ან მისი დანიშნული წარმომადგენლი) ხელს მოაწერს მას.

მადლობას გიხდით თქვენი წვლილისათვის აივ ინფექცია/შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაში. მოუთმენლად ველით "პროგრამის" წარმატებით განხორციელებას.

პატივისცემით,

მარია კიროვა */ხელმოწერილია/*

დეპარტამენტის ხელმძღვანელი

აზიაში, ევროპაში, ლათინურ ამერიკასა და კარიბის კუნძულებზე

შეთანხმებულია და ხელმოწერილია:

ვის: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ვის მიერ: ----- *ხელმოწერილია* -----

უფლებამოსილი წარმომადგენელი: ამირან გამყრელიძე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი

თარიღი: -----

თანდართული დოკუმენტები:

გრანტის ხელშეკრულების შეცვლილი სატიტულო ფურცელი
შეცვლილი და შესწორებული გრანტის ხელშეკრულების შეცვლილი დანართი
შესრულების სტრუქტურულ მე-4 და მე-5 (ა) წლები: მაჩვენებლები, მიზნები და განვლილი პერიოდები
შემაჯამებელი ბიუჯეტი მე-4 და მე-5 წლები
შეცვლილი და შესწორებული სტანდარტული პირობები

cc: ბ-ნ დავით სერგეენკო, CCM-ის თავმჯდომარე

ბ-ნ არსენ ასლანიანი, UNOPS, ფონდის ადგილობრივი აგენტი

ხელმოწერილია „გლობალური ფონდის ფინანსური დირექტორის“ ან მისი დანიშნული წარმომადგენლის მიერ „გლობალური ფონდის“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულების“ აღიარებისთვის.

ლენა სემენიუკი *ხელმოწერილია*

რეგიონალური ფინანსური მენეჯერი

თარიღი: 04.02.2015

პროგრამის გრანტის ხელშეკრულება

1. ქვეყანა: საქართველო	
2. ძირითადი მიმღების სახელწოდება და მისამართი: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. ასათიანის ქუჩა 9, 0186 თბილისი, საქართველო	
3. პროგრამის სახელწოდება: „საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით	
4. გრანტის ნომერი: GEO-H-NCDC	4A. GA ნომერი: 556
5. განხორციელების პერიოდის თარიღები: 2014 წლის 1 აპრილი - 2015 წლის 31 დეკემბერი	
6. საგრანტო სუბსიდიები (მხოლოდ მიმდინარე შესრულების პერიოდისთვის): 17 581 515 00 ევრომდე (ჩვიდმეტი მილიონ ხუთას ოთხმოცდაერთი ათას ხუთას თხუთმეტი ევრო. საგრანტო სუბსიდიებს, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, „გლობალური ფონდი“ გადასცემს „ძირითად მიმღებს“ წინამდებარე „ხელშეკრულების“ „დანართში „ა“ აღწერილი მცოცავი გრაფიკით.	
7. კომპონენტი/დაავადება: აივ ინფექცია/შიდსი	
8. „ძირითადი მიმღების“ ფისკალური წელი: 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე	
9. ადგილობრივი ფონდის აგენტი: UNOPS 11-13 შემინ დე ანემონე, 1219 შატელინი, ჟენევა, შვეიცარია ტელ: +374 10 51-22-41 ფაქსი: +374 10 51-22-40 ელ-ფოსტა: arsena@unops.org ვის: Mr Arsen Aslanyan	
10. ძირითადი მიმღებისთვის შეტყობინების გაგზავნის მიზნით, პირის სახელი, გვარი/მისამართი: ირმა ხონელიძე გენერალური დირექტორის მოადგილე, EMPA ასათიანის ქუჩა 9, 0186 თბილისი, საქართველო ტელ.: (+995 32) 239 75 52 ფაქსი: (+995 32) 231 17 55 ელ-ფოსტა: khonelidze@gmail.com	11. გლობალური ფონდისთვის შეტყობინებების გაგზავნის მიზნით პირის სახელი, გვარი/მისამართი: ნიკოლას კანტაუ რეგიონალური მენეჯერი აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან მებრძოლი გლობალური ფონდი შემინ დე ბლანდონე 8, 1214 ვემიერი, ჟენევა, შვეიცარია ტელ.: +41 58 791 1700 ფაქსი: +41 58 791 1701
წინამდებარე ხელშეკრულება შედგება წინამდებარე სატიტულო ფურცლისა და შემდეგისგან: დეკლარაციულ ნაწილის (საჭიროების შემთხვევაში) სტანდარტული პირობებისაგან, „ა“ დანართისგან - პროგრამის განხორციელების აღწერა და მისი დანართი (მათ შორის შესრულების სტრუქტურა და შემაჯამებელი ბიუჯეტი)	

პროგრამის გრანტის ხელშეკრულების დანართი

პროგრამის განხორციელების აღწერა

ქვეყანა:	საქართველო
პროგრამის სახელი:	საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით
გრანტის ნომერი:	GEO-H-NCDC
დაავადება:	აივ ინფექცია/შიდსი
ძირითადი მიმღები:	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

წინამდებარე დანართში „ა“, ან დანართ „ა“-ზე თანდართულ დოკუმენტებში, დიდი ასოებით გამოყენებულ, მაგრამ განუმარტავ ტერმინებსა და აკრონიმებს აქვთ წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში მათზე მინიჭებული მნიშვნელობები.

წინამდებარე დანართ „ა“-სა და წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტული პირობების რომელიმე დებულების ტერმინებს შორის რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე დანართ „ა“-ში მოყვანილ ტერმინებს.

ა. პროგრამის აღწერა

1. საფუძველი და დასკვნა:

საქართველო ზედა-საშუალო შემოსავლების მქონე ზედა კატეგორიის ქვეყანაა აივ ინფექციის გავრცელების მაღალი მაჩვენებელით. 2012 წლის ქვეყაზე ზედამხედველობის ბიომარკერული კომპონენტით კვლევის) " (2012 IBBS)¹ თანახმად საქართველოში აივ ინფექციის კონცენტრირებული ეპიდემიის გავრცელების მაჩვენებელი 2%-ს შეადგენს, ეს მაჩვენებელი მცირედით 0.1%-0.3% განსხვავდება 15-დან 49 წლამდე მოზრდილებში, ხოლო ინფექციის გავრცელება (13%) აშკარად გამოხატულია მამაკაცებში რომელებსაც სექსი აქვთ მამაკაცებთან (მსმ). ინფექცია პირველ ყოვლისა მოიცავს მოსახლეობის მიზნობრივ ჯგუფებს, კერძოდ, ჰომოსექსუალური ურთიერთობის მქონე მამაკაცებს, ინტრავენური ნარკოტიკების მომხმარებლებს კომერციულ სექს მუშაკ ქალებს (კსმქ) და პატიმრებს.

¹ 5. წერეთელი, ი. ჩიქოვანი, ნ. შენგელია და ნ. ჩხაიძე -- აივ ინფექციის რისკის და პრევენციის ზომები მამაკაცებში რომელებსაც სექსი აქვთ მამაკაცებთან, ქვეყაზე ზედამხედველობის კვლევა ბიომარკერული კომპონენტით თბილისში, საქართველოში, 2012 წელს. თბილისი, საქართველო: საერთაშორისო ფონდი „კურაციო“, საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი - თანადგომა; თებერვალი, 2013 წელი.

საქართველოში ეპიდემიის გავრცელების რისკი და პოტენციური საკმაოდ მაღალია, რაც განპირობებულია იმით, რომ ქვეყანაში საკმაოდ ფართოდ გამოიყენება ნარკოტიკები და მოსახლეობაც ინტენსიურად გადაადგილდება საქართველოსა და აივ ინფექციის გავრცელების კუთხით ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე მეზობელ ქვეყნებს შორის, როგორცაა უკრაინა და რუსეთი. თუ ადრე, აივ ინფექციის ეპიდემია საქართველოში ემთხვეოდა აღმოსავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში ნარკოტიკების მოხმარებით გავრცელებული ეპიდემიის მაჩვენებლებს, უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ინფექციის გავრცელების ყველაზე აქტიურ გზად კვლავ ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარება რჩება, ეს მაჩვენებელი თანდათანობით მცირდება, ხოლო ჰეტეროსექსუალური და ჰომოსექსუალური გზით გადადება კი მატულობს.

თბილისში აივ ინფექციის გავრცელება მსმ-ებს შორის 7 %-იყო, რაც 2012 წლის IBBS²-ის თანახმად 13%-მდე გაიზარდა. 2012 წლის IBBS-ის თანახმად აივ ინფექციის საერთო გავრცელებადობის მაჩვენებელი ნარკოტიკების მომხმარებლებს შორის საქართველოს ხუთ ქალაქში 3%-ი იყო, რაც 2008³ წლის 2.4% მაჩვენებელთან შედარებით მომატებულია. შეფასებების მიხედვით აივ ინფექციის-ის შემთხვევები ნარკოტიკების მომხმარებლებს შორის შედარებით დაბალია მიუხედავად პრევენციული ზომების მცირე მასშტაბებისა. 2012 წელს IBBS-მა ჩაატარა კვლევა კსმქ - ს შორის აივ ინფექციის გავრცელების შემთხვევებზე და დადგინდა, რომ თბილისში ეს მაჩვენებელი იყო 1.3%, ხოლო ბათუმში 0.8%, რაც იმაზე მიუთითებს, რომ 2009⁴ წლის შემდეგ (1.9%) თბილისში შეინიშნება მაჩვენებლების კლება, ხოლო ბათუმში მდგომარეობა უცვლელია. 2012 წელს ქვეყანაში 20 000 პაციმარი იყო. 2012 წელს პაციმრებს შორის მონაცემების სიმცირის გამო აივ ინფექციის გავრცელების მაჩვენებლები დაბალი, კერძოდ, 0.3% იყო, რაც IBBS-ის თანახმად შემცირებულია 2008 წლის შემდეგ (1.4%).

2013 წლის დეკემბრის მონაცემებით, 2 092 აივ ინფექციით დაავადებული ადამიანი გადიოდა მკურნალობას. საშუალოდ, შემთხვევათა 45% დგინდება დაგვიანებულ სტადიაზე, რაც თავისთავად მოქმედებს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, შედეგად კი ვიღებთ დაახლოებით 20%-ით მაღალი სიკვდილიანობის მაჩვენებელს. არ არსებობს პაციენტების სია, რომლებიც ანტირეტროვირუსული მკურნალობის (არტ) კურსის მოლოდინში არიან და 2012 წლის მონაცემების თანახმად, აივ ინფექციით დაავადებული მოზრდილებისა და ბავშვების 85%-ი კვლავ გადის მკურნალობას არტ-ის დაწყებიდან 12 თვის შემდეგ.

² იხ. იგივე.

³ ი. ჩიქოვანი, ნ. შენგელია და ნ. ჩხაიძე, თ. სირბილაძე და ლ. თავზარაშვილი - 2012 წელს საქართველოს ექვს ქალაქში, თბილისში, ბათუმში, ზუგდიდში, თელავში, გირსა სა კუთაისში ჩატარებული ქვეყანაზე ზედამხედველობის კვლევა ბიომარკერული კომპონენტით - აივ ინფექციის რისკი და პრევენციის ზომები ნარკოტიკების მომხმარებლებთან: საერთაშორისო ფონდი „კურაციო“, საზოგადოებრივი კავშირი - ბემონი, თებერვალი, 2013 წელი.

⁴ ნ. წერეთელი, ი. ჩიქოვანი, ნ. შენგელია და ნ. ჩხაიძე - 2012 წელს საქართველოს ორ ქალაქში, თბილისსა და ბათუმში ჩატარებული ქვეყანაზე ზედამხედველობის კვლევა ბიომარკერული კომპონენტით - აივ ინფექციის რისკი და პრევენციის ზომები მდებდრობითი სქესის სექსუალურმაკვებში: საერთაშორისო ფონდი „კურაციო“, საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი - თანადგომა; თებერვალი, 2013 წელი.

საქართველოში შემუშავდა 2011-2016 წლების აივ ინფექცია/შიდსის ეროვნული სტრატეგიის გეგმა, რომლის მიზანია ეპიდემიის ზრდის დასტაბილურება, თავდაპირველად ყველაზე დიდი რისკის ქვეშ მყოფ მოსახლეობაში და აივ ინფიცირებულ პოპულაციაში კლინიკური შედეგების გაუმჯობესება ეროვნული რეაგირების გაძლიერებითა და გაუმჯობესებული კოორდინაციით. გეგმაში გამოყოფილია ხუთი სტრატეგიული პრიორიტეტული სფერო, რომლებიც ასევე ხაზგასმულია ქვემოთ მოცემულ სტრატეგიების ნაწილში.

“დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი” იქნება გრანტის ძირითადი მიმღები და გადმოიხარებს ამ სტატუსს “გლობალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრისგან”, გრანტის პერიოდული შეფასების შედეგად. „ძირითადი მიმღების“ შეცვლა არ იმოქმედებს პროგრამის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებების მასშტაბებსა თუ სფეროზე; შესაბამისად, „გლობალური ფონდი“ წინამდებარე გრანტის ხელშეკრულებას მიიჩნევს წინა გრანტის ხელშეკრულების გაგრძელებად (GEO-H-GPIC).

2. **მიზანი:** საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის გავრცელებისა და გარდაცვალების შემთხვევების შემცირება ყველაზე მარალი რისკის ქვეშ მყოფ მოსახლეობასა და აივ ინფიცირებულ პოპულაციებს შორის.

3. **მიზნობრივი ჯგუფი/პროგრამის ბენეფიციარები:**

- აივ ინფიცირებულ პოპულაციაში და უშუალოდ აივ ინფექცია/შიდსის -ით დაავადებული ადამიანები;
- ინტრავენური ნარკოტიკების მომხმარებლები;
- კომერციული სექს მუშაკები, მსმ-ები და მათი კლიენტები; და
- ორსული ქალები.

4. **სტრატეგიები:**

- აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, ზრუნვისა და მხარდაჭერის გარემოს შექმნა;
- მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის მიმართ პრევენციული ჩარევების მასშტაბებისა და ხარისხის გაზრდა;
- აივ ინფიცირებული პოპულაციების მკურნალობის, ზრუნვისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა, აფხაზეთის კონფლიქტური ზონის ჩათვლით; და
- პროგრამის ეფექტურობის შესახებ მონაცემების ჩამოყალიბება და აივ ინფექციის პროგრამის ეფექტურობის დოკუმენტურად დასაბუთება.

5. **დაგეგმილი ღონისძიებები:**

- i. ეროვნული რეაგირების კოორდინირებისა და მზრუნველობითი ძალისხმევის ამაღლება;
- ii. პრევენციული ჩარევების ხარისხისა და მასშტაბების გაუმჯობესება - პროგრამა წარმოადგენს პრევენციული ჩარევების კომპლექსს, რომელიც მიზნად ისახავს აივ ინფექციის გავრცელების პრევენციას სოციალურ რისკ ჯგუფებში, ნარკომანების, კსმქ-ების, მსმ-ების, პატიმრებისა და სოციალური რისკ ის ქვეშ მყოფი მოზარდების ჩათვლით;

- iii. წვდომის შენარჩუნება არც მკურნალობისადმი და კლინიკური შედეგების გაუმჯობესება;
- iv. აივ ინფიცირებულ პოპულაციები ს- შესაბამისი ზრუნვისა და დახმარების უზრუნველყოფა, რომელიც მიიღწევა სათანადოდ მომზადებული პერსონალის მიერ ფსიქოლოგიური დახმარების, კვებითი მხარდაჭერისა და პალიატიური მკურნალობის საშუალებით; და
- v. ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება აივ ინფექციის წინააღმდეგ ეფექტური რეაგირების უზრუნველსაყოფად.

ბ. თანხის გადმორიცხვის წინაპირობები.

დაუდგენელია.

გ. წინამდებარე ხელშეკრულების სპეციალური პირობები

1. წინამდებარე გრანტით გათვალისწინებული ღონისძიებების მხარდასაჭერად არაუგვიანეს 2015 წლის 31 მარტისა, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭომ (CCM), ან ძირითადად მიმღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ CCM-მა წარადგინოს პროგრამის დაფინანსების მდგრადობის გეგმა სახელმწიფოს მიერ „გრანტის“ ფარგლებში ღონისძიებების დაფინანსების თანდათანობით თავის თავზე აღების გათვალისწინებით, 2015 წლიდან.

2. „გლობალური ფონდი“, საკუთარი შეხედულებისამებრ, იტოვებს უფლებას მოსთხოვოს „ძირითად მიმღებს“ გამოიყენოს შესაბამისი კვალიფიციური შესყიდვების აგენტი ჯანდაცვის ნაწარმის, მათ შორის სამკურნალო საშუალებების, კონკრეტული ჩამონათვალის შესასყიდად მათი ხარისხის, ეფექტურობისა და/ან თანხების რსციონალური ხარჯვის მიზნით. აღნიშნული იფლების გამოყენებისას, „გლობალური ფონდი“ განსაზღვრავს ჯანდაცვის პროდუქტების ჩამონათვალს.“

დ. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გამოსაყენებელი ფორმები

წინამდებარე „ხელშეკრულების სტანდარტული პირობების“ მე-15(ბ) მუხლის ფარგლებში სათაურით „პერიოდული ანგარიშგება“, „ძირითადად მიმღებმა“ უნდა გამოიყენოს „მიმდინარე პროგრესის ანგარიშისა და გადმორიცხვის მოთხოვნის ფორმა (On-going Progress Update and Disbursement Request), რომელსაც „ძირითად მიმღებს“ მიაწოდებს „გლობალური ფონდი“ მოთხოვნისთანავე.

ე. თანხის მოთხოვნის სავარაუდო განრიგი

წინამდებარე „ხელშეკრულების სტანდარტული პირობების“ მე-10(ა) მუხლის ფარგლებში, „გლობალურმა ფონდმა“ უნდა მიიღოს ყოველწლიურად გადარიცხვის გადაწყვეტილება, „გრანტის დაწყების დღიდან“. გლობალურ ფონდს შეუძლია დადგენილი მოცულობის საგრანტო თანხის გადარიცხვის განახორციელოს რამოდენიმე ტრანშის სახით. გადაწყვეტილება თითოეულ ტრანშში თანხის გადმორიცხვისა, დროის შერჩევისა და ტრანშის თანხის მოცულობისა, განისაზღვრება გლობალური ფონდის მიერ მისი ინდივიდუალური შეხედულებით.

ვ. გლობალური ფონდის ეტაპობრივი დაფინანსების ვალდებულების პოლიტიკა

ყოველწლიური გადარიცხვის და სავალდებულო გადაწყვეტილების დროს, „გლობალურმა ფონდმა“ უნდა გამოყოს („გადასცეს“) წინამდებარე „ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით“ გათვალისწინებული წლიური სავალდებულო გადაწყვეტილების თანახმად გათვალისწინებული თანხის ოდენობის თანხა. გრანტის თანხა გამოიყოფა „გლობალური ფონდის“ შეხედულებით და უფლებამოსილებით, როგორც ეს გაწერილია წინამდებარე „ხელშეკრულების“ 10 მუხლში, „გლობალური ფონდის“ დაფინანსების ხელმისაწვდომობის, „ძირითადი მიმღების“ ნაღდი ფულის გონივრული საჭიროებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. „გლობალური ფონდის“, მიერ გრანტის თანხის ვალდებულების აღიარების შემთხვევაში, „გლობალურმა ფონდმა“ „ძირითად მიმღებს“ უნდა აცნობოს ამის შესახებ წერილობით ფორმით, ყოველწლიური გადარიცხვის ვალდებულების აღების დროს. დამატებით, ძირითადი მიმღები აღიარებს და თანახმაა, რომ მიუხედავად აღიარებული ვალდებულებისა, „გლობალურმა ფონდმა“ საკუთარი გადაწყვეტილებით, გააუქმოს საგრანტო სუბსიდიები, პროგრამის განხორციელების პერიოდის დასრულების შემდეგ.

სტანდარტული პირობები და დებულებები (დაფინანსების ცალმხრივი ნაკადი)

მუხლი 1. ხელშეკრულების მიზანი.

წინამდებარე „ხელშეკრულება“ გაფორმდა შვეიცარიის კანონმდებლობის ფარგლებში დაფუძნებულ „შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალურ ფონდსა“ („გლობალური ფონდი“) და წინამდებარე „ხელშეკრულების“ სატიტულო ფურცლის მე-2 ნაწილში მითითებულ „ძირითად მიმღებს“ შორის. წინამდებარე „ხელშეკრულებაში“ განსაზღვრულია პირობები, რომლის საფუძველზეც „გლობალურ ფონდს“ შეუძლია დააფინანსოს წინამდებარე „ხელშეკრულების“ სატიტულო ფურცლის 1-ლ ნაწილში მითითებული ქვეყნის („მასპინძელი ქვეყანა“) „ძირითადი მიმღები“, პროგრამის განხორციელების მიზნით, რომლის სათაურიც მითითებულია წინამდებარე „ხელშეკრულების“ სატიტულო ფურცლის მე-3 ნაწილში („პროგრამა“).

მუხლი 2. პროგრამის განხორციელება.

(ა) პროგრამის აღწერა და მიზნები. „ძირითადმა მიმღებმა“ უნდა განახორციელოს წინამდებარე „ხელშეკრულებაზე“ „ა დანართის“ სახით დართული „პროგრამის განხორციელების აღწერაში“ მითითებული პროგრამა. მასში წარმოდგენილია პროგრამის მთავარი მიზნები, ძირითადი მაჩვენებლები, დასახული შედეგები, მიზნები და პროგრამის ანგარიშგების პერიოდები. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, წინამდებარე „ხელშეკრულებაზე“ „ა“ დანართის“ სახით წარმოდგენილ „შესრულების სტრუქტურაში“ მითითებული მიზნები კუმულაციური ხასიათისაა და არ მოიცავს საბაზისო ღირებულებებს.

(ბ) პროგრამის ბიუჯეტი. წინამდებარე „ხელშეკრულების A დანართის“ „შემაჯამებელ ბიუჯეტ(ებ)ში“ წარმოდგენილია წინამდებარე „ხელშეკრულების ტიტულოვანი ფურცლის“ 5 ნაწილში მითითებულ „განხორციელების პერიოდში“ დამტკიცებული ხარჯები. „ძირითადმა მიმღებმა“ უნდა განახორციელოს „პროგრამა“ „შემაჯამებელი ბიუჯეტ(ებ)-ის“ შესაბამისად. „შემაჯამებელი ბიუჯეტ(ებ)-ის“ ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „გლობალურ ფონდში“ წარმოდგენილი წერილობითი მითითებების შესაბამისად ან სხვაგვარად, „გლობალური ფონდის“ მიერ წერილობით ნებადართულ შემთხვევაში.

მუხლი 3. განხორციელების პერიოდი

(ა) განხორციელების პერიოდი

„ძირითადი მიმღები“ ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის (რომელიც მითითებულია წინამდებარე „ხელშეკრულების“ 38-ე მუხლში), „გლობალური ფონდი“ წინამდებარე „ხელშეკრულების“ ფარგლებში გამოყოფს თანხებს

პროგრამისთვის განსახორციელებლად, იმ პერიოდისთვის, რომლის ათვლაც იწყება წინამდებარე „ხელშეკრულების ტიტულოვანი ფურცლის“ 5 ნაწილში მითითებულ „განხორციელების პერიოდში“. ამგვარი დაფინანსება შეიძლება განხორციელდეს ტრანშის სახით „გლობალური ფონდის ეტაპობრივი დაფინანსების ვალდებულების პოლიტიკის“ შესაბამისად, როგორც ეს აღწერილია წინამდებარე „ხელშეკრულების „ა“ დანართში“ „პროგრამის განხორციელების აღწერა“.

(ბ) მიმდინარე და ნებისმიერი წინა „განხორციელების პერიოდები“ განიხილება როგორც "გრანტის ვადა".

მუხლი 4. გრანტისთვის გამოყოფილი თანხები

„გლობალური ფონდი“, წინამდებარე „ხელშეკრულების“ ტიტულოვანი ფურცლის 5 ნაწილში მითითებული "განხორციელების მიმდინარე პერიოდისთვის", გრანტის სახით „ძირითად მიმღებს“ გადასცემს თანხას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე ხელშეკრულების სატიტულო ფურცელის მე-6 ნაწილში მითითებულ თანხას („გრანტი“), და რომელიც „ძირითადმა მიმღებმა“ შეიძლება მიიღოს წინამდებარე „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად. წინამდებარე "ხელშეკრულების" ფარგლებში, „გრანტში“ გათვალისწინებული უნდა იყოს წინამდებარე "ხელშეკრულების" ტიტულოვანი ფურცლის მე-6 ნაწილში მითითებული თანხები „გლობალური ფონდის“ მიერ „ძირითადი მიმღებისთვის“ პროგრამის განსახორციელებლად მანამდე გამოყოფილ თანხებთან ერთად. „ძირითად მიმღებს“ გრანტის თანხების გამოყენება შეუძლია მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისთვის, რომლებიც წარმოიშობა „გრანტის ვადაში“, ან რომლებიც სხვაგვარად იქნება წერილობით შეთანხმებული „გლობალური ფონდის“ მიერ.

მუხლი 5. ძირითადი მიღების განცხადებები და გარანტიები

„ძირითადი მიმღები“, წინამდებარე „ხელშეკრულების“ გაფორმების თარიღისთვის აცხადებს და აძლევს გარანტიას „გლობალურ ფონდს“ შემდეგთან დაკავშირებით:

- (ა) **ქმედუნარიანობა.** „ძირითადი მიმღები“ არის იმ იურისდიქციაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად არსებული იურიდიული პირი, რომლის ფარგლებშიც ის დაფუძნდა.
- (ბ) **განხორციელებადობა.** „ძირითადმა მიმღებმა“ ჯეროვნად გააფორმა და წარადგინა წინამდებარე „ხელშეკრულება“, რომელიც უნდა განახორციელოს „ძირითადმა მიმღებმა“ მისი პირობების შესაბამისად.
- (გ) **აუცილებელი უფლება.** „ძირითად მიმღებს“ აქვს ყველა აუცილებელი უფლება, უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა: (i) ფლობდეს თავის აქტივებს; (ii) განახორციელოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები; და (iii) გააფორმოს წინამდებარე „ხელშეკრულება“.
- (დ) **კანონმდებლობასთან შესაბამისობა.** ძირითადი მიმღების ღონისძიებები ხორციელდება „მასპინძელი ქვეყნის“ კანონმდებლობისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის და არა მხოლოდ, ინტელექტუალურ საკუთრების კანონის შესაბამისად. გარდა ამისა,

„ძირითადმა მიმღებმა“ ზოგადად იცის, რომ არსებობს კანონები, რომლებიც კრძალავს რესურსების უზრუნველყოფას და დახმარების გაწევას ტერორიზმთან დაკავშირებული ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციებისთვის და რომ ევროკავშირმა, აშშ-ის მთავრობამ და გაეროს უსაფრთხოების საბჭომ გამოაქვეყნა ტერორიზმთან ასოცირებული ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების სიები.

(ე) პრეტენზიების გარეშე. ამჟამად არ არსებობს და არც მოსალოდნელია „ძირითადი მიმღების“ წინააღმდეგ რაიმე პრეტენზიების, გამოძიების ან სასამართლო პროცესის საფრთხე, რომელიც უარყოფითი შედეგების შემთხვევაში, მატერიალურ ზიანს მიაყენებს „ძირითადი მიმღების“, უნარს განახორციელოს პროგრამა.

(ვ) დამატებითობის პრინციპი. გრანტი წარმოადგენს იმ დამატებით რესურსს, რომელსაც მასპინძელი ქვეყანა იღებს გარეშე და ადგილობრივი წყაროებიდან წინამდებარე ხელშეკრულების სატიტულო ფურცლის მე-7 ნაწილში მითითებული დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად, ან, საჭიროების შემთხვევაში, ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯებისთვის (თუ ჯანდაცვის სისტემების გაძლიერება მითითებულია მე-7 ნაწილში).

(ზ) ორმაგი დაფინანსების გარეშე. პროგრამის მიზნების განხორციელება შესაძლებელია გლობალური ფონდის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში უზრუნველყოფილი დამატებითი სახსრებით. ძირითადი მიმღები არ იღებს დაფინანსებას რომელიმე სხვა წყაროდან, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფინანსების იდენტურია.

მუხლი 6. ძირითადი მიმღების შეთანხმებები

„ძირითადი მიმღები“ „გლობალურ ფონდთან“ ათანხმებს და ეთანხმება შემდეგ პირობებს „გრანტის ვადის განმავლობაში“:

(ა) უფლებამოსილება. წინამდებარე „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებულ დოკუმენტებზე ხელმოწერ პირს (მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულების შესწორებებზე) ხელმოწერის მომენტისთვის მინიჭებული აქვს ასეთ დოკუმენტზე ხელმოწერის უფლებამოსილება.

(ბ) მნიშვნელოვანი ღონისძიების შესახებ შეტყობინება. „ძირითადმა მიმღებმა“ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება „გლობალურ ფონდს“ რაიმე პრეტენზიის, გამოძიების ან სასამართლო პროცესის შესახებ, რომელიც უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში, არახელსაყრელ გავლენას იქონიებს მოსალოდნელ შედეგებზე და ძირითადი მიმღების ან ნებისმიერი დაქვემდებარებული მიმღების უნარზე (როგორც ეს აღწერილია წინამდებარე ხელშეკრულების მე-14 მუხლში), განახორციელოს პროგრამა ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ვალდებულება.

(გ) საქმიანობის განხორციელება. „ძირითადი მიმღებმა“ უნდა განახორციელოს და უზრუნველყოს, რომ თითოეულმა დაქვემდებარებულმა მიმღებმა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რაც საჭიროა მისი კანონიერი არსებობისთვის და იმ უფლებების, ლიცენზიებისა და ნებართვების შენარჩუნებისთვის, განახლებისა და ძალაში ყოფნისთვის, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს

პროგრამით გათვალისწინებული და მათი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული ღონისძიებების განხორციელებისთვის.

(დ) კანონთან შესაბამისობა. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების დროს ძირითადად მიმღებმა უნდა დაიცვას და უზრუნველყოს რომ ყველა მისმა დაქვემდებარებულმა მიმღებმა დაიცვას მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობა და სხვა მოქმედი კანონმდებლობა, ინტელექტუალური საკუთრების მოთხოვნების ჩათვლით.

(ზ) დამატებითობის პრინციპი. ძირითადი მიმღები ყველა ზომას მიმართავს რათა წინამდებარე ხელშეკრულების 5 მუხლით (ვ) გათვალისწინებული ყველა განცხადება მოქმედი იყოს გრანტის ვადის განმავლობაში.

(ე) შეტყობინება დამატებითი დაფინანსების შესახებ. ძირითადად მიმღებმა უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება გლობალურ ფონდს, ნებისმიერი დამატებითი დაფინანსების შესახებ, რომელსაც მიიღებს „ძირითადი მიმღები“ და რამაც შესაძლოა მოითხოვოს პროგრამაში ცვლილების შეტანა, რათა შესრულდეს წინამდებარე ხელშეკრულების 5(ზ) მუხლით გათვალისწინებული მისი ვალდებულებები.

მუხლი 7. ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო (CCM)

(ა) ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო. მხარეები აღიარებენ, რომ ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო (CCM) კოორდინაციას უწევს მასპინძელი ქვეყნისგან გლობალური ფონდისთვის შეთავაზებულ, მათ შორის გრანტის დასრულების თარიღის შემდეგ („დაფინანსების გაგრძელების მოთხოვნა“) დამატებითი თანხის მოთხოვნის წინადადებებს და აკონტროლებს როგორც წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, ასევე სხვა პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას, რომელსაც აფინანსებს გლობალური ფონდი მასპინძელ ქვეყანაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

(ბ) თანამშრომლობა. ძირითადად მიმღებმა უნდა ითანამშრომლოს CCM-თან და გლობალურ ფონდთან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად. ძირითადი მიმღები რეგულარულად უნდა შეხვედეს CCM-ს გეგმების განსახილველად, ინფორმაციის გასაცვლელად და პროგრამის შესათანხმებლად. ძირითადად მიმღებმა ინფორმაციის მიზნით, CCM-ის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა მიაწოდოს მას პროგრამასთან დაკავშირებული ანგარიშების ასლები და მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ამაში შეიძლება შედიოდეს, და არა მარტო, გადახდების, წინაპირობების შესასრულებლად, განხორციელების დოკუმენტების და წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილებისთვის საჭირო მოთხოვნები. გარდა ამისა, ძირითადი მიმღები უნდა დაეხმაროს CCM-ს დაფინანსების გაგრძელების მოთხოვნის მომზადებაში. ძირითად მიმღებს ესმის, რომ „გლობალურმა ფონდმა“ შეძლება საკუთარი შეხედულებისამებრ CCM-ს გაუზიაროს ინფორმაცია პროგრამის შესახებ.

მუხლი 8. ადგილობრივი საფონდო აგენტი

(ა) ადგილობრივი საფონდო აგენტი. „გლობალური ფონდი“ იყენებს „ადგილობრივი საფონდო აგენტის“ („FLA“) მომსახურებებს როგორც ეს მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების

სატიტულო ფურცლის მე-9 ნაწილში, რათა „გლობალური ფონდის“ სახელით შეასრულოს გარკვეული ფუნქციები, მათ შორის:

- i. შეაფასოს პროგრამის განხორციელებასა და გრანტის თანხების მართვასთან დაკავშირებით ძირითადი მიმღების შესაძლებლობები; და
- ii. შეამოწმოს ძირითადი მიმღების პროგრამის მიზნების განხორციელების, გრანტის თანხების გამოყენებისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა.

(ბ) თანამშრომლობა. ძირითადად მიმღებმა უნდა ითანამშრომლოს და უზრუნველყოს, რომ დაქვემდებარებულმა მიმღებებმა სრულად ითანამშრომლონ ფონდის ადგილობრივ საფონდო აგენტთან, რათა საშუალება მისცეს მას განახორციელოს თავისი ფუნქციები. ამასთან დაკავშირებით ძირითადად მიმღებმა სხვა საკითხებთან ერთად:

- i. ადგილობრივი საფონდო აგენტის საშუალებით, უნდა წარუდგინოს გლობალურ ფონდს წინამდებარე ხელშეკრულებით მოთხოვნილი ყველა ანგარიში, გადარიცხვის მოთხოვნა და სხვა ინფორმაცია;
- ii. ადგილობრივ საფონდო აგენტს წარუდგინოს ყველა აუდიტორული ანგარიშის ასლი;
- iii. ნება მისცეს ადგილობრივ საფონდო აგენტს, განხორციელოს სპეციალური ვიზიტები საფონდო აგენტის მიერ განსაზღვრულ დროს;
- iv. ნება მისცეს ფონდის ადგილობრივ საფონდო აგენტს, შეამოწმოს პროგრამის წიგნები და ჩანაწერები (როგორც ეს აღწერილია წინამდებარე ხელშეკრულების მე-13 მუხლში) ადგილობრივი ფისკალური აგენტის მიერ განსაზღვრულ დროსა და ადგილას;
- v. ნება მისცეს ფონდის ადგილობრივ საფონდო აგენტს, გამოკითხოს მისი და მასზე დაქვემდებარებული მიმღებების პერსონალი;
- vi. ითანამშრომლოს ფონდის ადგილობრივ საფონდო აგენტთან, რათა განსაზღვროს დამატებითი ტრეინინგისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობები, რომელიც შესაძლოა ძირითად მიმღებს და დაქვემდებარებულ მიმღებებს დასჭირდეთ პროგრამის განსახორციელებლად; და
- vii. ითანამშრომლოს ფონდის ადგილობრივ საფონდო აგენტთან სხვაგვარად, როგორც ამას გლობალური ფონდი გადაწყვეტს.

(გ) ადგილობრივი საფონდო აგენტის (LFA) წარმომადგენელი. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ფონდის ადგილობრივი ფისკალური აგენტის წარმომადგენელი უნდა იყოს წინამდებარე ხელშეკრულების სატიტულო ფურცლის მე-9 ნაწილში მითითებულ თანამდებობაზე მყოფი ან დასახელებული პირი. გლობალურ ფონდს შეუძლია, თავისი გადაწყვეტილებისამებრ შეცვალოს ფონდის ადგილობრივი საფონდო აგენტი ან გამოყოს

ფონდის ადგილობრივი საფონდო აგენტის ალტერნატიული მთავარი წარმომადგენელი და შესაბამისად ამის შესახებ აცნობოს ძირითად მიმღებს.

მუხლი 9. გრანტის თანხების მართვა

(ა) **თანხების გამოყენება.** ძირითადად მიმღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ გრანტის ყველა თანხა იმართებოდეს გონივრულად და მიიღოს ყველა ზომა იმის საგარანტიოდ, რომ გრანტის თანხა გამოყენებული იქნეს მხოლოდ პროგრამის მიზნებისთვის და შესაბამისობაში იყოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან. შესაბამისად, ძირითადად მიმღებმა ყველა ღონე უნდა იხმაროს იმის საგარანტიოდ, რომ გრანტის თანხების გამოყენება არ მოხდეს მის ან დაქვემდებარებული მიმღებების მიერ ძალადობის მხარდასაჭერად ან ხელშესაწყობად, ტერორისტების ან ტერორიზმთან დაკავშირებული ქმედებების დასახმარებლად, ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის ან ისეთი ორგანიზაციების დასაფინანსებლად, რომლებიც შენიშნული არიან ტერორიზმის მხარდაჭერაში ან ჩართული არიან ფულის გათეთრების ღონისძიებებში.

(ბ) ფულის გათეთრების საწინააღმდეგო მოთხოვნები.

„ძირითადი მიმღები“ ეთანხმება გლობალური ფონდის მცდელობებს წინ აღუდგეს ფულის გათეთრების ქმედებებს:

- i. ნებისმიერი ტრანზაქცია, რაც მოიცავს „გრანტის“ თანხების გადარიცხვას, გადახდას, ტრანსპორტირებას, გადახურდავებას, (მათ შორის გადარიცხვებს და ვალუტის გადახურდავებას), განხორციელდება „ძირითადი მიმღების ბანკის“ მეშვეობით, სადაც განთავსებულია „გრანტის“ თანხები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გადახდის განსხვავებული მეთოდი, გადახდის შესრულებამდე, წერილობით უნდა შეთანხმდეს გლობალურ ფონდთან.
- ii. „გრანტის“ თანხების ნებისმიერი გადარიცხვა ან ვალუტის გადახურდავება, რომელიც ხორციელდება ელექტრონულად უნდა იყოს შესაბამისად დოკუმენტირებული;
- iii. გადახურდავების ყველა პროცედურა, რომელიც ეხება გრანტის თანხებს, უნდა განხორციელდეს ოფიციალური და რეგულირებული ფინანსური ინსტიტუტების მიერ;
- iv. ვალუტის გადახურდავების პროცედურები, რომლებიც არ ხორციელდება ოფიციალური და რეგულირებული ფინანსური ინსტიტუტების მიერ, არ ჩაითვლება „პროგრამის საქმიანობად“ (განსაზღვრული როგორც „პროგრამის უშუალო მხარდამჭერი ქმედებები“); და
- v. „გრანტის“ თანხების ნებისმიერი სახით გადარიცხვა, გადახდა, ტრანსპორტირება, გადაცემა ან გადახურდავება: (i) მესამე მხარისთვის, რომელიც არაა დაკავშირებული პროგრამის და წინამდებარე „ხელშეკრულების“ განხორციელებასთან; ან (ii) საქმიანობებისთვის, რომლებიც არ უკავშირდება პროგრამის მხარდაჭერას, მკაცრად იკრძალება.

(გ) დაქვემდებარებული მიმღებების ხელშეკრულებებში ფულის გათეთრების საწინააღმდეგო მოთხოვნების ჩასმა.

„ძირითადმა მიმღებმა“ წინამდებარე ხელშეკრულების მე-9(ბ) მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები უნდა შეიტანოს ყველა "დაქვემდებარებული მიმღების" ხელშეკრულებაში (რომელიც შესწორდება ისე, რომ ასახოს დაქვემდებარებული მიმღების სტატუსი) და პასუხისმგებელია, რომ ყველა „დაქვემდებარებულმა მიმღებმა“ მკაცრად დაიცვას მოცემული მოთხოვნების პირობები.

(დ) ფულის გათეთრების საწინააღმდეგო მოთხოვნების დარღვევებთან დაკავშირებული საშუალებები და მოვალეობები.

ძირითადი მიმღები ეთანხმება, რომ:

- i. გლობალურ ფონდს შეუძლია გამოიყენოს უფლება გააუქმოს, ან დააწესოს შეზღუდვები წინამდებარე „ხელშეკრულებაზე“, აღნიშნული „ხელშეკრულების“ მე-9(ბ) ან (გ) მუხლების დარღვევისთვის, რაც ითვალისწინებს „გრანტის“ თანხის უნებართვო ტრანზაქციას (ისეთი ტრანზაქცია, როგორიცაა „უნებართვო ტრანზაქცია“); და
- ii. „ძირითადი მიმღები“ იქნება ერთადერთი პასუხისმგებელი „უნებართვო ტრანზაქციით“ გამოწვეულ ფინანსურ ან ნებისმიერი სხვა სახის ზარალზე, და აუნაზღაურებს გლობალურ ფონდს „უნებართვო ტრანზაქციებით“ გამოწვეულ ნებისმიერ დანაკარგს ან მოგებას.

მუხლი 10. გრანტის თანხების გამოყოფა

(ა) თანხის გამოყოფა.

წინამდებარე „ხელშეკრულების“ „ა“ დანართში მითითებული ჩარიცხვის განრიგის მიუხედავად, გრანტის თანხების ნებისმიერი გამოყოფის ვადები და თანხა უნდა განსაზღვროს გლობალურმა ფონდმა თავისი შეხედულებისამებრ. განსაკუთრებით, თუ სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული, „გლობალურმა ფონდმა“ არ უნდა გასცეს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირველი გადახდის/ტრანშის მითითება არა უადრეს 21 კალენდარული დღისა "განხორციელების პერიოდის" დაწყებამდე, რომელიც მოცემულია წინამდებარე "ხელშეკრულების" სატიტულო ფურცლის 5 ნაწილში, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ "ძირითადი მიმღები" იცავს წინამდებარე „მუხლის“ სხვა პირობებს. „გლობალურმა ფონდმა“ არ უნდა განახორციელოს გადახდები, თუ:

- i. „ძირითადი მიმღები“, „გლობალური ფონდისთვის“ მისაღებ დროს, არ წარუდგენს გლობალურ ფონდს მისთვის მისაღები ფორმისა და შინაარსის „გადახდის მოთხოვნას“, რომელიც ხელმოწერილი იქნება „ძირითადი მიმღების“ უფლებამოსილი პირის ან პირების მიერ;

ii. „გლობალური ფონდი“ საკუთარი შეხედულებისამებრ არ გადაწყვეტს, რომ თანხის გამოყოფის მომენტისთვის, ამ მიზნით თანხის გამოყოფის განხორციელებისთვის საკმარისი სახსრები ხელმისაწვდომია გლობალური ფონდისთვის;

iii. „ძირითადმა მიმღებმა“, „გლობალური ფონდისთვის“ მისაღები ფორმითა და შინაარსით, არ შეასრულა ასეთი გადარიცხვის წინასწარი პირობები ან „ა“ დანართში მითითებული სპეციალური პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და წინამდებარე „ხელშეკრულების“ სატიტულო ფურცელზე მითითებულ საბოლოო ვადაში ან სპეციალურ პირობებში მითითებულ სხვა საბოლოო ვადაში;

iv. „ძირითადი მიმღები“ არ დაადასტურებს, რომ მისი გრანტის გამოყოფის მოთხოვნაში დასახელებული თანხა ეფუძნება მისი ფულადი სახსრების გონივრულ საჭიროებებს, იმ პერიოდისთვის, როდესაც მოთხოვნილია თანხის გამოყოფა;

v. „ძირითადი მიმღები“ არ წარუდგენს „გლობალურ ფონდს“ წინამდებარე „ხელშეკრულების“ 15(ბ) მუხლით გათვალისწინებული პროგრამის მიმდინარეობის ანგარიშს, რომელიც სავალდებულო იყო თანხის გამოყოფის მოთხოვნის თარიღამდე;

vi. „ძირითადი მიმღები“ არ დაამტკიცებს, რომ მიაღწია პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს წინამდებარე ხელშეკრულების „ა“ დანართზე თანდართულ „შესრულების სტრუქტურაში“ მითითებული მიზნობრივი მაჩვენებლების შესაბამისად, მასში მითითებულ ვადაში, და არ განმარტავს მიზნებიდან რაიმე გადახვევის მიზეზებს;

vii. გრანტის თანხებით შესყიდული ჯანდაცვის პროდუქტების ქვეყანაში მიღების შემდეგ, ძირითადმა მიმღებმა არ წარმოადგინა ფასები და მიწოდებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია, რომლის შესახებაც უნდა ეცნობოს გლობალურ ფონდს, „სახელმძღვანელოს“ ჩათვლით, წინამდებარე ხელშეკრულების მე-19 მუხლის შესაბამისად (როგორც ეს მითითებულია წინამდებარე „ხელშეკრულების“ 19 მუხლში), გლობალური ფონდის ვებ-გვერდზე არსებული ფასის „ანგარიშგების მექანიზმის“ ან სხვა შესაფერისი ინსტრუმენტის გამოყენებით, რომელიც გლობალურმა ფონდმა შესაძლებელია გამოყოს ამ მიზნით; და

viii. ფონდის ლოკალური აგენტი (წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლში მითითებული) არ შეამოწმებს გადახდის მოთხოვნაში წარმოდგენილ ინფორმაციას.

(ბ) საბოლოო ვადები.

თუ „პროგრამის განხორციელების აღწერაში“ მითითებული წინაპირობები ან სპეციალურ პირობები ვერ შესრულდება დასრულების დროის ან საბოლოო ვადებისთვის, ან თუ „ძირითადი მიმღები“ ვერ შეასრულებს „წინამდებარე ხელშეკრულებაში“ მითითებულ პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებს მასში განსაზღვრულ ვადაში, გლობალურ ფონდს შეუძლია, ნებისმიერ დროს და თავისი შეხედულებისამებრ, შეწყვიტოს ან შეაჩეროს წინამდებარე „ხელშეკრულება“, წინამდებარე „ხელშეკრულების“ 26-ე მუხლში

მითითებული „ძირითადი მიმღებისთვის“ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

(გ) განხორციელების პერიოდი

გლობალური ფონდი აღარ იქნება უფლებამოსილი, გადაიხადოს გრანტის თანხები „განხორციელების პერიოდის“ დასრულების შემდეგ, თუ მხარეები არ შეცვლიან წინამდებარე ხელშეკრულებას, რომელშიც ასახული იქნება „დამატებითი განხორციელების პერიოდის“ დამტკიცება (როგორც ეს აღწერილია წინამდებარე „ხელშეკრულების“ მე-3(ბ) მუხლში).

მუხლი II. საბანკო ანგარიშები, პროცენტი და პროგრამით გათვალისწინებული სხვა შემოსავლები

(ა) საბანკო ანგარიში.

„ძირითადმა მიმღებმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ:

- i. ძირითადი მიმღების ან დაქვემდებარებული მიმღების მფლობელობაში არსებული გრანტის თანხები შეძლებისდაგვარად ინახებოდეს საბანკო ანგარიშზე, რომელსაც ერიცხება პროცენტი მასპინძელ ქვეყანაში არსებული გონივრული განაკვეთით მანამ, სანამ ეს თანხები სრულად არ დაიხარჯება პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისთვის;
- ii. გრანტის თანხები დეპონირებული იყოს საბანკო ანგარიშზე, რომელიც სრულად შეესაბამება ყველა მოქმედ ადგილობრივ და საერთაშორისო საბანკო სტანდარტებს და მარეგულირებელ ნორმებს, მათ შორის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებსა; და
- iii. გრანტის თანხები ყოველთვის ინახებოდეს ნაღდი ფულით და მათი გამოტანა შესაძლებელი იყოს ნებისმიერ დროს, სრულად მოთხოვნისთანავე.

(ბ) პროცენტი.

წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისად, „გლობალური ფონდის“ მიერ „ძირითადი მიმღებისთვის“ ან „ძირითად მიმღებს დაქვემდებარებული მიმღებისთვის“ გამოყოფილ გრანტის თანხებზე დარიცხული ყველა პროცენტი გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ „პროგრამის“ მიზნებისთვის.

(გ) შემოსავლები.

პროგრამის საქმიანობის შედეგად, „ძირითადი მიმღების“ ან „ძირითად მიმღებს დაქვემდებარებული მიმღების“ მიერ გამოიმუშავებული ნებისმიერი შემოსავალი, მათ შორის, და არა მხოლოდ, შემოსავლები „სოციალური მარკეტინგის“ საქმიანობიდან, გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ „პროგრამის“ მიზნებისთვის.

მუხლი 12. გადასახადები და მოსაკრებლები

(ა) გადასახადებისგან გათავისუფლება.

„ძირითად მიმღებს“ აქვს ყველანაირი მხარდაჭერა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ წინამდებარე „ხელშეკრულება“ და ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების შესყიდვა, რომლებიც ხორციელდება ძირითადი მიმღების და ნებისმიერი დაქვემდებარებული მიმღების მიერ გრანტს თანხების გამოყენებით, გათავისუფლებული იყოს მასპინძელ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და მოსაკრებლებისგან. ძირითადმა მიმღებმა, არაუგვიანეს „განხორციელების პერიოდის“ I ეტაპის დაწყების თარიღიდან 90 დღის შემდეგ, უნდა აცნობოს გლობალურ ფონდს გადასახადებისგან და მოსაკრებლებისგან გათავისუფლების სტატუსის შესახებ, რომელიც შეთანხმებული იქნება წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისად.

(ბ) გადასახადების დაბრუნება.

თუ ძირითადი მიმღები ან დაქვემდებარებული მიმღები, გადასახადების ან მოსაკრებლის გადახდისგან გათავისუფლების მიუხედავად, გადაიხდის დაკისრებულ გადასახადს, გლობალურ ფონდს შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ (i) მოსთხოვოს „ძირითად მიმღებს“, დაუბრუნოს გლობალურ ფონდს ან გლობალური ფონდის მიერ განსაზღვრულ სხვა პირებს, ასეთი გადასახადის თანხა, სხვა სახსრებთან ერთად, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულის გარდა ან (ii) მოახდინოს ასეთი გადასახადის კომპენსირება „გლობალურ ფონდსა“ და „ძირითად მიმღებს“ შორის გაფორმებული წინამდებარე ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით გადასახდელი თანხებიდან.

(გ) საგადასახადო საკითხების გადაწყვეტა.

მასპინძელი ქვეყნის მთავრობის მიერ გადასახადებისგან გათავისუფლების სტატუსის გამოყენებასთან დაკავშირებით უთანხმოების შემთხვევაში, გლობალურმა ფონდმა და ძირითადმა მიმღებმა დაუყოვნებლივ უნდა სცადონ ასეთი პრობლემის მოგვარება და იხელმძღვანელონ პრინციპით, რომ გრანტის თანხები სავარაუდოდ გათავისუფლებული იქნება დაბეგვისგან, და გლობალური ფონდის მიერ უზრუნველყოფილი გრანტის თანხები უშუალოდ გამოყენებული იქნება მხოლოდ მასპინძელ ქვეყანაში დაავადების სამკურნალოდ და პრევენციისთვის.

მუხლი 13. აუდიტი და ჩანაწერები

(ა) ძირითადი მიმღების წიგნები და ჩანაწერები.

ძირითადმა მიმღებმა უნდა იქონიოს და უზრუნველყოს, რომ დაქვემდებარებულმა მიმღებებმა იქონიონ საბუღალტრო წიგნები, ჩანაწერები, დოკუმენტები და წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა მტკიცებულებები, რომელშიც შეზღუდვის გარეშე ასახული იქნება პროგრამასთან და მის დასრულებასთან დაკავშირებით ძირითადი მიმღების მიერ წარმოქმნილი ყველა დანახარჯი და შემოსავალი („პროგრამასთან დაკავშირებული წიგნები და ჩანაწერები“).

ძირითადად მიმღებმა და დაქვემდებარებულმა მიმღებებმა უნდა აწარმოონ წიგნები და ჩანაწერები მასპინძელ ქვეყანაში მიღებული საერთო საბუღალტრო სტანდარტების შესაბამისად. პროგრამასთან დაკავშირებული წიგნები და ჩანაწერები უნდა ინახებოდეს ძირითად მიმღებთან, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, ბოლო გადარიცხვის თარიღიდან სულ მცირე შვიდი წლის ან უფრო მეტი დროის განმავლობაში, თუკი საჭირო იქნება რაიმე პრეტენზიის ან აუდიტის შედეგად გამოვლენილი შედეგების გამოსასწორებლად, ან, თუკი ამის გაკეთებას მოითხოვს გლობალური ფონდი.

(ბ) ძირითადი მიმღების აუდიტი.

ძირითადად მიმღებმა, დამოუკიდებელი აუდიტორის საშუალებით, ყოველწიურად უნდა ჩაატაროს პროგრამით გათვალისწინებული შემოსავლებისა და დანახარჯების ფინანსური აუდიტი. პირველი პერიოდი, რომელსაც ჩაუტარდება აუდიტი, უნდა იყოს ძირითადი მიმღების პირველი დასრულებული ფინანსური წელი (რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების სატიტულო ფურცლის მე-8 ნაწილში და რომელიც დროდადრო შეიძლება შეიცვალოს წერილობითი შეტყობინების საფუძველზე). თუმცა, თუ ასეთი პირველი ფინანსური წლის ბოლო „განხორციელების პერიოდის“ დაწყების შემდეგ ექვს თვეზე ნაკლებია, აუდიტს დაქვემდებარებული პირველი პერიოდი უნდა დაიწყოს „საწყისი განხორციელების პერიოდის“ დაწყებიდან და გაგრძელდეს ასეთი მეორე ფინანსური წლის ბოლომდე.

(გ) დამოუკიდებელი აუდიტორი.

„განხორციელების პერიოდის“ დაწყებიდან არუგვიანეს სამი თვის შემდეგ, ძირითადად მიმღებმა უნდა აცნობოს გლობალურ ფონდს დამოუკიდებელი აუდიტორის შესახებ, რომელიც მან აირჩია წინამდებარე მუხლის (ბ) პარაგრაფში მითითებული ყოველწიური აუდიტის ჩასატარებლად. დამოუკიდებელი აუდიტორის საბოლოო შერჩევა და მისი კომპეტენციის სფერო უნდა დაამტკიცოს გლობალურმა ფონდმა და უნდა ჩატარდეს „განხორციელების პერიოდის“ დაწყებიდან არაუგვიანეს ექვსი თვის შემდეგ.

(დ) დაქვემდებარებული მიმღების აუდიტი.

ძირითადად მიმღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ გრანტის თანხების თითოეულ დაქვემდებარებულ მიმღებს ჩაუტარდეს შემოსავლებისა და დანახარჯების ყოველწიური აუდიტი. ამ მოთხოვნებთან დაკავშირებით, ძირითადად მიმღებმა უნდა წარუდგინოს გლობალურ ფონდს ასეთი დაქვემდებარებული მიმღების აუდიტის გეგმა „განხორციელების პერიოდის“ თარიღიდან არაუგვიანეს ექვსი თვის განმავლობაში და დაქვემდებარებული მიმღების ყველა დასრულებული აუდიტის ასლი. დაქვემდებარებული მიმღებების აუდიტის განხორციელების პირველი პერიოდი არ უნდა იყოს ზემოთ (ბ) პარაგრაფში მითითებულ აუდიტის პირველ პერიოდზე გვიან.

(ე) აუდიტის ანგარიშები. ძირითადად მიმღებმა აუდიტის ჩატარებიდან არაუგვიანეს ექვსი თვის შემდეგ უნდა გადასცეს გლობალურ ფონდს წინამდებარე მუხლის შესაბამისად ჩატარებული ძირითადი მიმღების ან დაქვემდებარებული მიმღების თითოეული აუდიტის ანგარიში.

(ვ) გლობალური ფონდის მიერ ჩატარებული აუდიტი.

გლობალური ფონდი ინარჩუნებს უფლებას, თვითონ ან აგენტის საშუალებით (გრანტის თანხების ან ამ მიზნით არსებული სხვა რესურსების გამოყენებით) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუდიტი და/ან ჩაატაროს ფინანსური შემოწმება, სასამართლო აუდიტი ან შეფასება, ან განახორციელოს სხვა ქმედება, რომელსაც ის საჭიროდ მიიჩნევს ძირითადი მიმღების და დაქვემდებარებული მიმღებების გრანტის თანხებზე ანგარიშგებისთვის და ძირითადი მიმღების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვის კონტროლისთვის. ძირითადმა მიმღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა დაქვემდებარებულმა მიმღებებმა ითანამშრომლონ გლობალურ ფონდთან და მის აგენტებთან, ასეთი შემოწმების, აუდიტის, შეფასების ან სხვა ქმედების განხორციელების დროს.

(ზ) წვდომის უფლება.

ძირითადმა მიმღებმა უფლება უნდა მისცეს და უზრუნველყოს, რომ ყველა მესამე მხარემ მისცეს უფლება, გლობალური ფონდის უფლებამოსილ წარმომადგენლებს, „გენერალური ინსპექტორის სამმართველოს“, „გლობალური ფონდის“ აგენტებსა და გლობალური ფონდის მიერ უფლებამოსილ რომელიმე მესამე მხარეს ნებისმიერ დროს ჰქონდეს წვდომა: (i) პროგრამასთან დაკავშირებულ საბუღალტრო წიგნებთან და ჩანაწერებთან ან პროგრამასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა დოკუმენტთან, რომელსაც ფლობს ძირითადი მიმღები; (ii) ძირითადი მიმღების ან ნებისმიერი დაქვემდებარებული მიმღების შენობებთან, სადაც პროგრამასთან დაკავშირებული წიგნები და ჩანაწერები ინახება, ან სადაც ხორციელდება პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები; (iii) სხვა ობიექტები, სადაც პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ინახება, ან სადაც პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები ხორციელდება; და (iv) გრანტის თანხების ძირითადი მიმღების და/ან დაქვემდებარებული მიმღებების ყველა პერსონალი. ძირითადმა მიმღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ დაქვემდებარებულ მიმღებებთან მისი ხელშეკრულებები მოიცავდეს წინამდებარე (ზ) პარაგრაფით გათვალისწინებული გლობალური ფონდისთვის მინიჭებულ ამგვარ უფლებას. ექვსი თავიდან ასაცილებლად, ამ პარაგრაფში მოცემული შეუზღუდავი წვდომის უარყოფა, გენერალური ინსპექტორის სამმართველოს შეუზღუდავი წვდომის უფლების ჩათვლით და არამარტო, ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევად.

(თ) შეტყობინება.

ძირითადმა მიმღებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს გლობალურ ფონდს, წერილობით, ნებისმიერი აუდიტის ან სასამართლო გამოძიების შესახებ, რომელიც ეხება ძირითადი მიმღების ან დაქვემდებარებული მიმღების საქმიანობას.

მუხლი 14. დაქვემდებარებული მიმღები.

პერიოდულად, ძირითად მიმღებს შეუძლია, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, გამოუყოს გრანტის თანხები სხვა ორგანიზაციებს ან უშუალოდ გადაუხადოს თანხები მესამე

მხარეებს სხვა ორგანიზაციების სახელით „პროგრამული ღონისძიებების“ განსახორციელებლად („დაქვემდებარებული მიმღები“), იმ პირობით რომ ძირითადი მიმღები:

(ა) შეაფასებს თვითოეული მიმღების შესაძლებლობას, განახორციელოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები და წარმოადგინოს ამის შესახებ ანგარიში, მიაწოდოს ასეთი შეფასებები გლობალურ ფონდს მოთხოვნისთანავე, და შეარჩიოს თითოეული დაქვემდებარებული მიმღები მის მიერ პროგრამის იმ ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობის დადებითად შეფასების საფუძველზე, რომელთა განხორციელებაც მას ევალება და წარმოადგინოს შეფასება გამჭვირვალე დოკუმენტირებული წესით.

(ბ) გააფორმებს გრანტის ხელშეკრულებას თითოეულ „დაქვემდებარებულ მიმღებთან“, რომელშიც ასახული იქნება „დაქვემდებარებული მიმღების“ ვალდებულებები „ძირითადი მიმღების“ მიმართ, რომლებიც ზოგადად ექვივალენტურია წინამდებარე „ხელშეკრულების“ „ძირითადი მიმღების“ ვალდებულებებისა, და რომელიც გაფორმდა იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს ძირითადი მიმღების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვას. ასეთი ვალდებულებები მოიცავს, და არა მხოლოდ, მოთხოვნას, რომ „დაქვემდებარებულმა მიმღებმა“ გამოიყენოს გრანტის თანხები მხოლოდ პროგრამის მიზნებისთვის, და ყველა ღონე იხმაროს იმის საგარანტიოდ, რომ გრანტის თანხები არ იქნება გამოყენებული ძალადობის მხარდასაჭერად, ტერორისტების და ტერორისტული საქმიანობის დასახმარებლად, ფულის გათეთრების ღონისძიებებისა ან ისეთი ორგანიზაციების დასაფინანსებლად, რომლებიც შენიშნული არიან ტერორიზმის მხარდაჭერაში ან ფულის გათეთრების საქმიანობებში;

(გ) გადასცემს თითოეული დაქვემდებარებული მიმღების გრანტის ხელშეკრულების ასლს გლობალურ ფონდს, მოთხოვნისთანავე; და

(დ) უზრუნველყოფს სისტემასთან შესაბამისობას, რომლის მიზანია დაქვემდებარებული მიმღების საქმიანობის კონტროლი და მათგან რეგულარული ანგარიშების მიღება წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისად.

ძირითადი მიმღები ადასტურებს და თანახმაა, რომ დაქვემდებარებული მიმღებებისთვის გრანტის თანხების გამოყოფა ან დაქვემდებარებული მიმღებების სახელით გადახდების განხორციელება პროგრამის ღონისძიებების შესასრულებლად არ ათავისუფლებს მთავარ მიმღებს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული თავისი ვალდებულებებისა და მოვალეობებისგან. ძირითადი მიმღები პასუხისმგებელია პროგრამასთან დაკავშირებით დაქვემდებარებული მიმღებების ქმედებებსა და უმოქმედობაზე, ისევე როგორც ის პასუხისმგებელი იქნებოდა თავის ქმედებებსა და უმოქმედობაზე.

მუხლი 15. პროგრამის მიმდინარეობის ანგარიშები

(ა) ანგარიშების წარმოდგენა.

ძირითადი მიმღები გადასცემს გლობალურ ფონდს ამ მუხლის (ბ) პარაგრაფში მითითებულ ანგარიშებს. გარდა ამისა, ძირითადმა მიმღებმა უნდა მიაწოდოს გლობალურ ფონდს სხვა ისეთი ინფორმაცია და ანგარიშები ისეთ დროს, როგორც ამას გლობალური ფონდი მოითხოვს. პერიოდულად, გლობალური ფონდი წარუდგენს ძირითად მიმღებს მითითებებს, გლობალური ფონდის ინტერნეტ ვებ-გვერდის საშუალებით, ან განმახორციელებელი დოკუმენტების საშუალებით, წინამდებარე მუხლის შესაბამისად მოთხოვნილი ანგარიშებისთვის მისაღები სიხშირით, ფორმითა და შინაარსით. ძირითადმა მიმღებმა უნდა გადასცეს CCM-ს ყველა მოთხოვნილი ანგარიშის ასლი, რომელსაც ძირითადი მიმღები წარუდგენს გლობალურ ფონდს, წინამდებარე მუხლის შესაბამისად.

(ბ) პერიოდული ანგარიშები.

ძირითადმა მიმღებმა, წინამდებარე ხელშეკრულების „ა“ დანართში მითითებულ თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოდან არაუგვიანეს 45 დღის შემდეგ უნდა წარმოადგინოს „ა“ დანართში მითითებული პერიოდისთვის პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ანგარიში. ძირითადმა მიმღებმა უნდა წარმოადგინოს პერიოდული ანგარიშები „ა“ დანართში განსაზღვრული ფორმით. საანგარიშო პერიოდთან დაკავშირებით, ძირითადმა მიმღებმა თავის ანგარიშში უნდა განმარტოს ნებისმიერი განსხვავება რომელიც იქნება დაგეგმილსა და ფაქტობრივად მიღწეულ შედეგს შორის და დაგეგმილ და ფაქტობრივ დანახარჯებს შორის.

(გ) ანგარიშების გამოყენება.

ძირითადი მიმღები ადასტურებს და თანახმაა, რომ გლობალურმა ფონდმა საზოგადოებას გააცნოს ის ადგილობრივი ანგარიშები, მთლიანად ან ნაწილობრივ, რომლებიც მთავარმა მიმღებმა წარუდგინა გლობალურ ფონდს, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად. ძირითადი მიმღები ასევე აღიარებს და თანახმაა, რომ გლობალურმა ფონდმა ნებისმიერი მიზეზით გამოიყენოს, გაამრავლოს, შეცვალოს, და/ან შესაბამისობაში მოიყვანოს ასეთ ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაცია და სხვა მონაცემები.

მუხლი 16. მონიტორინგი და შეფასება

„ძირითადმა მიმღებმა“ უნდა აკონტროლოს და შეაფასოს „პროგრამის“ მიზნების შესრულების მიმდინარეობა, მათ შორის, დაქვემდებარებული მიმღებების მიერ განხორციელებული ღონისძიებები, „გლობალური ფონდის“ მიერ დამტკიცებული მონიტორინგისა და შეფასების გეგმის შესაბამისად. „ძირითადმა მიმღებმა“ უნდა წარმოადგინოს ღონისძიების მიმდინარეობის ხარისხიანი მონაცემები და პროგრამის შედეგების შესახებ ზუსტი ანგარიშები.

მუხლი 17. გლობალური ფონდის შეფასება

„გლობალურმა ფონდმა“ თავისი შეხედულებისამებრ უნდა განახორციელოს პროგრამის ან კონკრეტული პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების, განმახორციელებელი სტრუქტურების ან პროგრამასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შეფასებები. გლობალურმა ფონდმა უნდა განსაზღვროს ნებისმიერი შეფასების კომპეტენციის სფერო და მისი განხორციელების სათანადო განრიგი. ძირითადად მიმღებმა უნდა მოთხოვოს და დაქვემდებარებულ მიმღებებსაც მოსთხოვოს დახმარება შეფასებაში. გლობალური ფონდის მიერ მისი უფლებების გამოყენება არბზემსუბუქებს ძირითადი მიმღების ვალდებულებას, განახორციელოს პროგრამის მონიტორინგი და შეფასება.

მუხლი 18. საქონელსა და მომსახურებასთან დაკავშირებული კონტრაქტები

(ა) შესყიდვის პრაქტიკა.

ძირითადად მიმღებმა მუდმივად უნდა მიაწოდოს გლობალურ ფონდს ინფორმაცია წესისა და პრაქტიკის შესახებ, რომელსაც ის გამოიყენებს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, საქონელსა და მომსახურებებთან დაკავშირებული კონტრაქტებისთვის. როგორც მინიმუმ, ამ პროგრამის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვის მარეულირებელი ყველა წესი და პრაქტიკა უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ (i)-დან (viii) ნაწილებში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ხოლო „ჯანდაცვის პროდუქტების“ შესყიდვისას – წინამდებარე ხელშეკრულების მე-19 მუხლში მითითებულ მოთხოვნებს. ძირითადად მიმღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ ასეთი წესებისა და პრაქტიკის გამოყენება ყოველთვის მოხდეს სათანადო მოთხოვნების დაცვით.

i. კონტრაქტების მიღება უნდა მოხდეს გამჭვირვალედ, მხოლოდ კონკურენტულ საფუძველზე, გლობალური ფონდისთვის წერილობით წარდგენილი შესყიდვის წესებსა და პრაქტიკაში განსაზღვრული გადასახადებისგან გათავისუფლებების გათვალისწინებით.

ii. საკონტრაქტო შეთავაზებების შესახებ ნათლად უნდა ეცნობოს ყველა შესაბამის ტენდერში მონაწილეს, რომელთაც მიეცემათ საკმარისი დრო, გამოეხმაურონ ასეთ შეთავაზებას.

iii. საქონელსა და მომსახურებების შეთავაზებებში წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა აუცილებელი ინფორმაცია შესაბამისი ტენდერის მონაწილისთვის, რომელიც საჭიროა სატენდერო შეთავაზების მოსამზადებლად და უნდა ეფუძნებოდეს კონტრაქტის და შესასყიდი საქონლის ან მომსახურების ნათლად და ზუსტად წარმოდგენილი პირობების აღწერას.

iv. კონტრაქტის ტენდერში მონაწილეობის პირობები უნდა შემოიფარგლოს იმ პირობებით, რომლებიც აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ მონაწილეს ექნება შესაძლებლობა შეასრულოს აღნიშნული კონტრაქტი და დაიცვას შესყიდვის შესახებ კანონმდებლობის ადგილობრივი მოთხოვნები.

v. კონტრაქტები მიეცემა მხოლოდ პასუხისმგებელ კონტრაქტორებს, რომლებსაც შეუძლიათ წარმატებით განახორციელონ კონტრაქტები.

vi. საქონელსა და მომსახურებებში არ უნდა იქნას გადახდილი გონივრულ ფასზე მეტი (რომელიც განისაზღვრება, მაგალითად, ფასის კოტირებებისა და საბაზრო ფასების შედარებით).

vii. ძირითადი მიმღები და მისი წარმომადგენლები და აგენტები არ უნდა ჩაერთონ 21(ბ) მუხლში ასეთ შესყიდვებთან დაკავშირებით აღწერილ რომელიმე ქმედებაში.

viii. „ძირითადმა მიმღებმა“ უნდა აწარმოოს ჩანაწერები, რომელშიც დოკუმენტურად დეტალურად იქნება ასახული „ძირითადი მიმღების“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შეძენილი საქონლისა და მომსახურებების მიღება და გამოყენება, „ძირითადი მიმღების“ შეძენილი საქონლისა და მომსახურებების სავარაუდო მიმწოდებლის დახასიათება და შეთავაზების მოცულობა, და „ძირითადი მიმღების“ კონტრაქტებისა და შეკვეთების მიღების საფუძველი.

(ბ) მიწოდების ჯაჭვი.

„ძირითადმა მიმღებმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს ოპტიმალური საიმედოობის, ეფექტურობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, გრანტის თანხებით შესყიდული ყველა პროდუქტის მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებით.

(გ) დაქვემდებარებული მიმღებების შესაბამისობა.

„ძირითადმა მიმღებმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ დაქვემდებარებულმა მიმღებებმა შეასრულონ წინამდებარე მუხლის მოთხოვნები, როცა „დაქვემდებარებული მიმღებები“ აიღებენ „პროგრამით“ გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურებების შესყიდვის პასუხისმგებლობას.

(დ) ჩანაწერები.

„ძირითადმა მიმღებმა“ უნდა აწარმოოს და უზრუნველყოს, რომ ყველა დაქვემდებარებულმა მიმღებმა აწარმოოს გრანტის თანხებით შესყიდული ყველა ძირითადი აქტივის შესყიდვის ჩანაწერები.

(ე) უფლება.

„გლობალური ფონდის“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისად დაფინანსებულ საქონელსა და სხვა ქონებაზე („პროგრამის აქტივები“) უფლება უნდა ეკუთვნოდეს ძირითად მიმღებს ან დაქვემდებარებულ მიმღებს ან ძირითადი მიმღების მიერ დამტკიცებულ სხვა ორგანიზაციას, თუ „გლობალური ფონდი“ ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ არ მიუთითებს, რომ უფლება გადაეცეს გლობალურ ფონდს ან მის მიერ დასახელებულ სხვა ორგანიზაციას.

(ვ) პროგრამის მიზნები.

წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისად, ძირითადმა მიმღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ გრანტის თანხით დაფინანსებული ყველა საქონელი თუ მომსახურება და

საქმიანობა, მათ შორის დაქვემდებარებული მიმღების მიერ შესყიდული საქონელი და განხორციელებული ღონისძიებები, გამოყენებული იქნას მხოლოდ პროგრამის მიზნებისთვის.

მუხლი 19. ფარმაცევტული და ჯანდაცვის სხვა პროდუქტები

- (ა) ძირითადი მიმღები უზრუნველყოფს, რომ ჯანდაცვის ყველა პროდუქტი, რომელიც დაფინანსებულია გრანტის თანხებით, შეძენილი იქნება მიღებული კონტრაქტების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულების მე-18 და მე-19 მუხლების პირობების შესაბამისად, და გაითვალისწინებს გლობალური ფონდის მიერ 2012 წლის ივნისში გამოცემულ ჯანდაცვის პროდუქტების შესყიდვებისა და მომარაგების მენეჯმენტის წესებში მოყვანილ პრინციპებს, რომელიც დროდადრო იცვლება და ხელმისაწვდომია გლობალური ფონდის ვებ-გვერდზე („სახელმძღვანელო“). წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის, ტერმინი „ჯანდაცვის პროდუქტები“ მოიცავს: (i) ფარმაცევტულ ნაწარმს, (ii) გამძლე და არა-გამძლე ინ-ვიტრო დიაგნოსტიკურ პროდუქტს, (ii) მიკროსკოპებს და სურათის მისაღებ ხელსაწყოებს; (iii) კოლოს ბადეებს, და (iv) სამომხმარებლო/ერთჯერადი გამოყენების ჯანდაცვის პროდუქტებს (მათ შორის კონდომები, ინსექტიციდები, თევზაპეკტული პარენტალური კვება, ლაბორატორიის ზოგადი ნივთები და საინექციო შპრიცები).
- (ბ) ძირითადი მიმღები უზრუნველყოფს, რომ ძირითადი მიმღები და თითოეული დაქვემდებარებული მიმღები მუდმად ემორჩილებოდეს წინამდებარე „ხელშეკრულების“ მე-18 და მე-19 მუხლების და „სახელმძღვანელოს“ პირობების შინაარსს, და დაქვემდებარებული მიმღების ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-18 და მე-19 მუხლების ვალდებულებები, მათ შორის სახელმძღვანელოში არსებული პროცედურები კონტრაქტის გაფორმების შესახებ.
- (გ) ძირითადი მიმღები ადასტურებს და ეთანხმება, რომ არ დაარღვევს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ან კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თუ „გლობალური ფონდი“ დაადგენს, თავისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, რომ „ძირითადი მიმღები“ არ დაემორჩილა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კონტრაქტების გაფორმების, სახელმძღვანელოს, ან სახელმძღვანელოში ნებისმიერ გაერთიანებულ დოკუმენტს, გლობალურ ფონდს შეუძლია, თავისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, მიმართოს შემდეგ მოქმედებებს:
- i. მოსთხოვოს „ძირითად მიმღებს“, დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს „გლობალურ ფონდს“ დახარჯული ან გამოყენებული თანხა, სრულად ან ნაწილობრივ, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე „ხელშეკრულების“ მუხლებსა ან სახელმძღვანელოს მოთხოვნებთან შეუსაბამოდ;
 - ii. მოსთხოვოს „ძირითად მიმღებს“, შეიძინოს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „ჯანდაცვის პროდუქტები“ შემსყიდველი აგენტისგან ან სხვა მომწოდებლისგან, რომელიც მისაღებია გლობალური ფონდისთვის, და პერიოდისთვის, რომელსაც გლობალური ფონდი ჩათვლის მიზანშეწონილად; და

iii. უზრუნველყოს გრანტის თანხების გამოყოფა გლობალური ფონდისთვის მისაღები აგენტისა ან მიმწოდებლისთვის.

მუხლი 20. დაზღვევა და დანაკარგზე, ქურდობასა და დაზიანებაზე პასუხისმგებლობა

(ა) დაზღვევა.

„ძირითადმა მიმღებმა“, შესაძლებლობის ფარგლებში, გონივრულ ფასად უნდა უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული აქტივების ყველა სარისკო ქონების დაზღვევა და საერთო ყოვლისმომცველი პასუხისმგებლობის დაზღვევა კარგი რეპუტაციის მქონე და სტაბილურ სადაზღვეო კომპანიებში. სადაზღვეო დაფარვა უნდა შეესაბამებოდეს იმ დაფარვას, რომელიც აქვს შესაძარის საქმიანობებში ჩართულ მსგავს ორგანიზაციებს.

(ბ) დაკარგვასა ან ქურდობაზე პასუხისმგებლობა.

„ძირითადი მიმღები“ ერთპიროვნულად იქნება პასუხისმგებელი გრანტის თანხებით შესყიდულ ყველა და ნებისმიერი (მათ შორის დაქვემდებარებული მიმღებების მფლობელობაში არსებული) საქონლის დაკარგვაზე ან ქურდობაზე ან დაზიანებაზე და ასეთი დაკარგვის, ქურდობის ან დაზიანებისთანავე უნდა შეცვალოს ასეთი საქონელი თავისი ხარჯით წინამდებარე ხელშეკრულების მე-18 და მე-19 მუხლებში მითითებული შესყიდვის მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, ძირითადი მიმღები ერთპიროვნულად უნდა იყოს პასუხისმგებელი ძირითადი მიმღების ან ნებისმიერი მისი აგენტის ან დაქვემდებარებული მიმღებების მფლობელობაში არსებული ნებისმიერი თანხის დაკარგვაზე ან ქურდობაზე და არ უნდა მიმართოს დაკარგვასა ან ქურდობასთან დაკავშირებით დასახმარებლად გლობალურ ფონდს.

მუხლი 21. ინტერესთა კონფლიქტი; კორუფციასთან ბრძოლა; მიმწოდებელთა

ქცევის კოდექსი, მიმღებთა ქცევის კოდექსი.

(ა) ქცევის სტანდარტები.

„ძირითად მიმღებს“ უნდა ჰქონდეს შემუშავებული ქცევის სტანდარტები, რომლითაც ის დაარეგულირებს ძირითად მიმღებთან ან ნებისმიერ მის დაქვემდებარებულ მიმღებთან დაკავშირებული პირის საქმიანობას, (მაგალითად, დირექტორები, თანამდებობის პირები, თანამშრომლები ან აგენტები), რომლებიც მონაწილეობენ კონტრაქტების, გრანტების ან სხვა სარგებელის მართვაში გრანტის თანხებით გამოყენებით, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ასეთი პირები არ იქნებიან ჩართული ქვემოთ (ბ) პარაგრაფში ჩამოთვლილ რომელიმე საქმიანობებში.

(ბ) კორუფციის გარეშე.

არც „ძირითადმა მიმღებმა“ და მისი ზედამხედველობით „დაქვემდებარებულმა მიმღებმა“ ან „ძირითად მიმღებთან“ ან „დაქვემდებარებულ მიმღებთან“ დაკავშირებულმა პირმა, არ უნდა:

i. მიიღოს მონაწილეობა კონტრაქტის, გრანტის ან სხვა სარგებელის ან გრანტით დაფინანსებული გარიგების შერჩევაში, მიღებაში ან ადმინისტრირებაში, რომელშიც პირს, ამ პირის ოჯახის წევრებს ან მის ბიზნეს პარტნიორებს, ან ასეთი პირის მიერ არსებითად კონტროლირებად ორგანიზაციებს აქვთ ფინანსური ინტერესი;

ii. მიიღოს მონაწილეობა გარიგებებში, რომლებშიც ჩართული არიან ის ორგანიზაციები ან პირები, რომელთანაც აღნიშნული პირი აწარმოებს მოლაპარაკებას ან აქვს რაიმე შეთანხმება სავარაუდო დასაქმებასთან დაკავშირებით;

iii. პირდაპირ ან არაპირდაპირ შესთავაზოს ან მიიღოს დახმარებები, მხარდაჭერა, საჩუქრები ან რაიმე სხვა ღირებული, რათა გავლენა მოახდინოს იმ პირის ქმედებაზე, რომელიც ჩართულია შესყიდვის პროცესში ან კონტრაქტის გაფორმებაში;

iv. არასწორად წარმოადგინოს ან გამოტოვოს ფაქტები, რათა გავლენა მოახდინოს შესყიდვის პროცესზე ან კონტრაქტის გაფორმებაზე;

v. ჩაერთოს სქემაში ან ორ ან მეტ ტენდერში მონაწილეს შორის შეთანხმებაში ისე, რომ ამის შესახებ არ იცოდეს ძირითადმა მიმღებმა ან დაქვემდებარებულმა მიმღებმა, და რაც მიზნად ისახავს ხელოვნური, არაკონკურენტული სატენდერო ფასების წარმოდგენას; ან

vi. მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ სხვა საქმიანობაში, რომელიც არის ან შეიძლება ჩაითვალოს არაკანონიერ ან კორუფციულ საქმიანობად „მასპინძელ ქვეყანაში“.

(გ) გამჟღავნება.

თუ „ძირითადი მიმღებისთვის“ ცნობილი გახდა, რომ:

i. არსებობს ფაქტობრივი, აშკარა ან პოტენციური კონფლიქტი ძირითად მიმღებთან, ნებისმიერ დაქვემდებარებულ მიმღებთან, CCM-თან, LFA- სთან დაკავშირებული ნებისმიერი პირისა და გლობალური ფონდის ფინანსურ ინტერესებს შორის და ამ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით ამ პირის მოვალეობების შესახებ; ან

ii. ზემოთ (ბ) პარაგრაფში ჩამოთვლილი ნებისმიერი საქმიანობის შესახებ,

ძირითადმა მიმღებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს „გლობალურ ფონდს“ ამგვარი ფაქტობრივი, აშკარა ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

(დ) მიმწოდებელთა ქცევის კოდექსი.

„ძირითადმა მიმღებმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ „გლობალური ფონდის მიმწოდებლების ქცევის კოდექსი“, რომელიც პერიოდულად იცვლება („ქცევის კოდექსი“), გაეცნოს ტენდერში მონაწილე მიმწოდებელი, აგენტი, შუამავალი, კონსულტანტი და კონტრაქტორი („მიმწოდებლები“). „ძირითადი მიმღები“ ადასტურებს და თანხმდება, რომ „ქცევის კოდექსის“ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რის შესახებაც გადაწყვეტილებას მიიღებს „გლობალური ფონდი“ თავისი შეხედულებისამებრ, „გლობალური ფონდი“ ინარჩუნებს

უფლებას, არ დააფინანსოს „ძირითად მიმღებსა“ და „მიმწოდებელს“ შორის კონტრაქტი ან მოითხოვოს გრანტის თანხების უკან დაბრუნება იმ შემთხვევაში, თუ თანხა უკვე გადაეხადა „მიმწოდებელს“.

(ე) მიმღებთა ქცევის კოდექსი.

„ძირითადი მიმღები“ დაემორჩილება „გლობალური ფონდის მიმღებთა ქცევის კოდექსს“, რომელიც პერიოდულად იცვლება და ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე („მიმღებთა ქცევის კოდექსი“) და უზრუნველყოფს, რომ ქცევის კოდექსს გაეცნოს ყველა დაქვემდებარებული მიმღები, და მათ შორის, თითოეულ „დაქვემდებარებულ მიმღებთან“ გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულებაში „მიმღებთა ქცევის კოდექსის“ გამოყენებადობის წერილობითი აღიარების გზით.

მუხლი 22. გლობალური ფონდის ლოგოს ან სავაჭრო ნიშნების გამოყენება

„ძირითადმა მიმღებმა“ არ უნდა გამოიყენოს, და უნდა მოსთხოვოს თავის დაქვემდებარებულ მიმღებებს არ გამოიყენონ გლობალური ფონდის ლოგო ან ნებისმიერი სავაჭრო ნიშანი, თუ ძირითადი მიმღები და მისი დაქვემდებარებული მიმღებები შესაბამისად არ გააფორმებენ კანონიერი ლიცენზიის ხელშეკრულებებს „გლობალურ ფონდთან“ ასეთ გამოყენებასთან დაკავშირებით.

მუხლი 23. სიახლე; ძირითადი მიმღების შეცვლა

თუ ნებისმიერ დროს „ძირითადი მიმღები“ ან „გლობალური ფონდი“ გადაწყვეტს, რომ ძირითად მიმღებს არ შეუძლია ძირითადი მიმღების როლის შესრულება და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი მოვალეობების შესრულება, ან თუ რაიმე მიზეზით გლობალურ ფონდს და ძირითად მიმღებს სურს თავისი, როგორც ძირითადი მიმღების, ფუნქციები გადასცეს სხვა ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია და სურვილი აქვს თავის თავზე აიღოს ასეთი პასუხისმგებლობები, მაშინ ასეთ სხვა ორგანიზაციას („ახალი ძირითადი მიმღები“) შეუძლია ამ ხელშეკრულებაში ჩაანაცვლოს ძირითადი მიმღები. ასეთი ჩანაცვლება უნდა მოხდეს ისეთი პირობებით, როგორც ამაზე შეთანხმდებიან „გლობალური ფონდი“ და „ახალი ძირითადი მიმღები“ CCM-თან ერთად. „ძირითადმა მიმღებმა“ სრულად უნდა ითანამშრომლოს „გლობალურ ფონდთან“ და CCM-სთან, ამ შეცვლასთან დაკავშირებით.

მუხლი 24. დამატებითი ძირითადი მიმღებები

გარდა „ძირითადი მიმღებისა“, „გლობალურმა ფონდმა“ შესაძლოა პერიოდულად გრანტები გამოუყოს სხვა ორგანიზაციებს „მასპინძელ ქვეყნაში“ პროგრამების განხორციელების მიზნით. „ძირითადმა მიმღებმა“ უნდა ითანამშრომლოს ასეთ სხვა ორგანიზაციებთან „გლობალური ფონდის“ მიერ დაფინანსებული ყველა პროგრამით გათვალისწინებული სარგებელის რეალიზაციის მიზნით.

მუხლი 25. შეტყობინებები

„გლობალური ფონდისთვის“ ან „ძირითადი მიმღებისთვის“ გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება, მოთხოვნა, დოკუმენტი, ანგარიში ან სხვა ინფორმაცია, თუ წინამდებარე ხელშეკრულებაში სხვაგვარად არ არის მითითებული, უნდა გაეგზავნოს მეორე მხარის: (i) წინამდებარე „ხელშეკრულების“ სატიტულო ფურცლის მე-12 ან მე-13 ნაწილებში მითითებულ „უფლებამოსილ წარმომადგენელს“; ან (ii) წინამდებარე „ხელშეკრულების“ სატიტულო ფურცლის მე-10 ან მე-11 ნაწილებში მითითებულ გვარზე/მისამართზე. ყველა ასეთი დოკუმენტის ასლი უნდა გადაეცეს CCM-ს. თუ „გლობალურ ფონდს“ ინფორმაცია მიეწოდება LFA-ს საშუალებით, „ძირითადმა მიმღებმა“ უნდა გადასცეს ეს ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების სატიტულო ფურცლის მე-9 ნაწილში მითითებულ პირს. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.

მუხლი 26. შეწყვეტა; შეჩერება; ვალდებულების პერიოდის ამოწურვა

(ა) გლობალური ფონდის გადაწყვეტილება.

„გლობალურ ფონდს“ შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, შეწყვიტოს ან შეაჩეროს წინამდებარე „ხელშეკრულება“ მთლიანად ან ნაწილობრივ, რაიმე მიზეზით ძირითადი მიმღებისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. ამ „ხელშეკრულების“ ნებისმიერი ნაწილი, რომელიც არ შეწყდა ან შეჩერდა, ძალაში უნდა დარჩეს.

(ბ) პროცედურები შეწყვეტის, ან ვალდებულების პერიოდის ამოწურვის შემდეგ.

წინამდებარე „ხელშეკრულების“ რაიმე მიზეზით სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის ან ვალდებულების პერიოდის ამოწურვის შემდეგ, „ძირითადმა მიმღებმა“, სხვა პროცედურებთან ერთად, რომელიც შეიძლება მოითხოვოს „გლობალურმა ფონდმა“:

i. დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოს „გლობალურ ფონდს“ გრანტის ნებისმიერი თანხა, რომელიც არ დახარჯა „ძირითადმა მიმღებმა“ და „დაქვემდებარებულმა მიმღებმა“, შეწყვეტის შესახებ შეტყობინების გაგზავნის ან ვალდებულების პერიოდის ამოწურვის თარიღისთვის (შემდგომისდაგვარად), თუკი ამის გაკეთებას მოითხოვს „გლობალური ფონდი“;

ii. მიაწოდოს „გლობალურ ფონდს“ „პროგრამის“ საბოლოო შემოწმებული ფინანსური ანგარიში;

iii. მიაწოდოს „გლობალურ ფონდს“ გრანტის თანხებით შესყიდული ყველა აქტივის და დებიტორული დავალიანების ჩამონათვალი; და

iv. „გლობალური ფონდის“ მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს iii პარაგრაფში მითითებული ყველა აქტივის და მომსახურების გამოყენების გეგმა (მომზადებული CCM-თან ერთად) („პროგრამის დახურვის გეგმა“). „დახურვის გეგმა“ საბოლოოდ უნდა დაამტკიცოს „გლობალურმა ფონდმა“.

(გ) გადაცემა.

ვალდებულების პერიოდის ამოწურვის ან წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემდეგ, „გლობალურ ფონდს“ შეუძლია, წინამდებარე ხელშეკრულების მე-18(ე) მუხლის შესაბამისად, ნებისმიერი პროგრამით გათვალისწინებულ აქტივებზე უფლება გადასცეს „გლობალურ ფონდს“ ან „გლობალური ფონდის“ მიერ დასახელებულ სხვა ორგანიზაციას.

მუხლი 27 თანხის დაბრუნება

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალების არსებობის ან გამოყენების მიუხედავად, „გლობალურმა ფონდმა“ შესაძლოა მოსთხოვოს „ძირითად მიმღებს“ დაუყოვნებლივ დაუბრუნოს „გლობალურ ფონდს“ გრანტის ნებისმიერი თანხის გადახდა იმ ვალუტაში, რომლითაც უნდა მოხდეს მისი გადახდა ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებაში:

- (ა) წინამდებარე „ხელშეკრულება“ შეწყდა ან შეჩერდა;
- (ბ) „ძირითადმა მიმღებმა“ დაარღვია წინამდებარე „ხელშეკრულების“ რომელიმე დებულება;
- (გ) „გლობალურმა ფონდმა“ შეცდომით გადაუხადა „ძირითად მიმღებს“ თანხა; ან
- (დ) „ძირითადმა მიმღებმა“ არასწორად წარმოაჩინა წინამდებარე „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული რომელიმე საკითხი.

მუხლი 28. გლობალური ფონდის პასუხისმგებლობის ფარგლები

- (ა) „გლობალური ფონდი“ პასუხისმგებელი უნდა იყოს მხოლოდ წინამდებარე „ხელშეკრულებაში“ ჩამოთვლილი ვალდებულებების შესრულებაზე. გარდა ამ ვალდებულებებისა, გლობალური ფონდს არ უნდა ჰქონდეს რაიმე ვალდებულება CCM-ს (ან მისი ნებისმიერი წევრის), ძირითადი მიმღების, დაქვემდებარებული მიმღებების, რომელიმე თანამშრომლის ან მისი რომელიმე კონტრაქტორის ან რომელიმე სხვა პირის ან ორგანიზაციის წინაშე, წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან პროგრამის განხორციელებიდან გამომდინარე. ნებისმიერ ფინანსურ ან სხვა ვალდებულებაზე, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას პროგრამის განხორციელების შედეგად, განხორციელების პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ „ძირითად მიმღებს“.
- (ბ) „ძირითადი მიმღები“ ახორციელებს პროგრამას CCM-ს სახელით და არა „გლობალური ფონდის“ სახელით. ეს „ხელშეკრულება“ და „გრანტი“ არ უნდა ჩაითვალოს ხელმძღვანელსა და აგენტს შორის ურთიერთობის დამყარებად, ან ერთობლივი საწარმოს მსგავს ურთიერთობად „გლობალურ ფონდსა“ და „ძირითად მიმღებს“ ან „პროგრამაში“ მონაწილე რომელიმე სხვა პირს შორის. „გლობალური ფონდი“ არ იღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას, ნებისმიერი პირის ან საკუთრების დანაკარგზე ან დაზიანებაზე, რომელიც წარმოიქმნება პროგრამის შედეგად. „ძირითადმა მიმღებმა“

არცერ გარემოებაში არ უნდა წარმოადგინოს თავი როგორც „გლობალური ფონდის“ აგენტმა, და ყველა სიფრთხილის ზომა უნდა მიიღოს ნებისმიერი ასეთი ურთიერთობის არსებობის შესახებ ვარაუდის თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 29. კომპენსაცია

„ძირითადმა მიმღებმა“ უნდა დაიცვას „გლობალური ფონდი“, მისი დირექტორები, თანამდებობის პირები და თანამშრომლები, გლობალური ფონდის ნებისმიერი აგენტი და კონტრაქტორი (i) გლობალური ფონდის, მისი თანამდებობის პირების და თანამშრომლების ნებისმიერი და ყველა დანაკარგისგან და (ii) ყველა და ნებისმიერი სარჩელისგან, პრეტენზიისგან, ვალდებულებისაგან (მათ შორის ხარჯები, გადახდები და ადვოკატის ჰონორარი), სასამართლო პროცესისგან, ზიანისგან, დანახარჯისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც შესაძლოა შეეხო „გლობალურ ფონდს“ ან რომელიც შეიძლება დაიწყოს „გლობალური ფონდის“, მისი თანამდებობის პირების და თანამშრომლების წინააღმდეგ (და გადაუხადოს მათ აღნიშნულთან დაკავშირებული კომპენსაცია), რომელიც წარმოიქმნა ძირითადი მიმღების და მისი აგენტების, თანამშრომლების, დაქვემდებარებული მიმღებების, უფლებამოსიულების, ან სამართალმემკვიდრეების ქმედებების ან უმოქმედობის შედეგად, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება „ძირითად მიმღებს“.

მუხლი 30. განხორციელების დოკუმენტები

წინამდებარე „ხელშეკრულების“ განხორციელებაში „ძირითადი მიმღების“ დახმარების მიზნით, „გლობალურმა ფონდმა“ პერიოდულად უნდა მოამზადოს განხორციელების დოკუმენტები, რომელშიც წარმოდგენილი იქნება წინამდებარე „ხელშეკრულებაში“ მითითებული საკითხების შესახებ დამატებითი ინფორმაცია და მითითებები.

მუხლი 31. მოდიფიკაცია ან შესწორება

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე იყენებს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ მისთვის მინიჭებულ ცალმხრივ უფლებას ან დისკრეციულ უფლებამოსილებას, წინამდებარე „ხელშეკრულების“ არცერთი ცვლილება არ იქნება კანონიერი, თუ ის არ გაფორმდება წერილობით და მას ხელს არ მოაწერს „გლობალური ფონდის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი და „ძირითადი მიმღების“ უფლებამოსილი წარმომადგენელი.

მუხლი 32. ინფორმაციის გავრცელება

„ძირითად მიმღებს“ ესმის, რომ „გლობალური ფონდი“ ინარჩუნებს უფლებას, თავისუფლად გამოაქვეყნოს ან გაავრცელოს ამ „პროგრამის“ განხორციელების შედეგად მიღებული ინფორმაცია.

მუხლი 33. საშუალებებზე უარის თქმის არარსებობა

წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული რომელიმე უფლების ან საშუალების დაგვიანებით გამოყენება არ ნიშნავს ასეთ უფლებაზე ან საშუალებაზე უარის თქმას.

მუხლი 34. სამართალმემკვიდრეები და უფლებამონაცვლები

წინამდებარე „ხელშეკრულება“ შესასრულებლად სავალდებულოა „ძირითადი მიმღების“ სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლებებისთვის და „ხელშეკრულებაში“ ნაგულისხმევი იქნება „ძირითადი მიმღების“ სამართალმემკვიდრეები და უფლებამონაცვლები. თუმცა წინამდებარე „ხელშეკრულების“ არცერთი პირობა არ დაუშვებს რაიმე გადაცემას „გლობალური ფონდის“ წინასწარი წერილობითი დასტურის გარეშე.

მუხლი 35. არბიტრაჟი

ნებისმიერი დავა, უთანხმოება ან პრეტენზია, რომელიც წარმოიქმნება წინამდებარე „ხელშეკრულებასთან“ ან მის დარღვევასთან, შეწყვეტასა ან ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით, უნდა გადაწყდეს არბიტრაჟის საშუალებით, ამჟამად მოქმედი საერთაშორისო სავაჭრო კანონის გაეროს კომისიის (UNCITRAL) საარბიტრაჟო წესების შესაბამისად. „გლობალური ფონდი“ და „ძირითადი მიმღები“ თანახმა არიან, შეასრულონ არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, როგორც ასეთი დავის, უთანხმოების ან პრეტენზიის საბოლოო გადაწყვეტილება. არბიტრის დანიშვნაზე პასუხისმგებელი ორგანო უნდა იყოს „არბიტრაჟის საერთაშორისო სასამართლოს საერთაშორისო სავაჭრო პალატა“. არბიტრების რაოდენობა უნდა იყოს სამი. არბიტრაჟის ადგილი უნდა იყოს ჟენევა, შვეიცარია. საარბიტრაჟო პროცესზე გამოყენებული ენა უნდა იყოს ინგლისური.

მუხლი 36. მოქმედი კანონმდებლობა.

წინამდებარე „ხელშეკრულება“ უნდა დარეგულირდეს UNIDROIT პრინციპებით (2004).

მუხლი 37. მთლიანი ხელშეკრულება

წინამდებარე „ხელშეკრულება“ და ნებისმიერი მისი დანართი წარმოადგენს მხარეებს შორის გაფორმებულ მთლიან ხელშეკრულებას და მხარეებს შორის ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით გაფორმებულ ყველა პირობასა და შეთანხმებას და აღემატება მხარეებს შორის არსებულ ყველა ადრინდელ სიტყვიერ თუ წერილობით შეთანხმებას, მოლაპარაკებას ან განხილვას. წინამდებარე „ხელშეკრულების“ მთავარ საგანთან დაკავშირებით მხარეებს შორის არ არსებობს რაიმე სიტყვიერი ან წერილობით გამოხატული ან ნაგულისხმევი პირობა გარდა იმისა, რომლებიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში და მის დანართებში.

მუხლი 38. ძალაში შესვლის თარიღი

წინამდებარე „ხელშეკრულება“ მომზადდა ორ ორიგინალ ეგზემპლარად და ძალაში შევა „ძირითადი მიმღებისა“ და „გლობალური ფონდის“ მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან, რომლებიც მოქმედებენ წინამდებარე ხელშეკრულების სატუტულო ფურცლის მე-12 და მე-13 ნაწილებში მითითებული მათი სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების საშუალებით.

მუხლი 39. შენარჩუნებული დებულებები

(ა) ყველა შეთანხმება, ხელშეკრულება, განცხადება და გარანტია, რომელსაც წარმოადგენს ძირითადი მიმღები წინამდებარე „ხელშეკრულებაში“ უნდა ჩაითვალოს „გლობალური ფონდისთვის“ საიმედოდ და შენარჩუნდეს წინამდებარე „ხელშეკრულების“ გაფორმების დროს, „გლობალური ფონდის“ ან მისი სახელით განხორციელებული ნებისმიერი გამოძიების მიუხედავად, და იმის მიუხედავად რომ „გლობალურ ფონდს“ შესაძლოა ჰქონდეს ინფორმაცია ვალდებულების პერიოდში ნებისმიერი არასწორი ქმედების, განცხადების ან გარანტიის შესახებ, და ძალაში დარჩება „განხორციელების პერიოდის“ დასრულებამდე.

(ბ) მე-6 მუხლის (ძირითადი მიმღების შეთანხმებები), მე-8 მუხლის (ფონდის ადგილობრივი აგენტი), მე-9 მუხლის (გარანტიის თანხების მართვა), მე-13 მუხლის (აუდიტი და ჩანაწერები) (ა), (ვ) და (ზ) პარაგრაფების, მე-15 მუხლის (პროგრამის მიმდინარეობის ანგარიშები) (გ) პარაგრაფის, მე-17 მუხლის (გლობალური ფონდის მიერ შეფასება), მე-18 მუხლის (საქონლის და მომსახურებების კონტრაქტები), მე-19 მუხლის (ფარმაცევტული და სხვა ჯანდაცვის პროდუქტები), 21-ე მუხლის (ინტერესთა კონფლიქტი კორუფციასთან ბრძოლა), 27-ე მუხლის (თანხის დაბრუნება), 28-ე მუხლის (გლობალური ფონდის ვალდებულების შეზღუდვა) და 29-ე მუხლის (კომპენსაცია) დებულებები ძალაში დარჩება „განხორციელების პერიოდის“ ამოწურვის ან წინამდებარე „ხელშეკრულების“ შეწყვეტის მიუხედავად.

მუხლი 40. ეგზემპლარები

წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს ერთ ან მეტ ეგზემპლარად, რომელთაგან ყველა ერთად წარმოადგენს ერთსა და იმავე ხელშეკრულებას.

მუხლი 41. პრივილეგიები და იმუნიტეტი

წინამდებარე „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული არც ერთი დებულება არ შეიძლება ჩაითვალოს „გლობალური ფონდისთვის“ მინიჭებულ პრივილეგიებსა ან იმუნიტეტზე გამოხატულ ან ნაგულისხმევ უარის თქმად (i) საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის საერთაშორისო ჩვეულებრივი სამართლის, ნებისმიერი საერთაშორისო კონვენციის ან ხელშეკრულების შესაბამისად, (ii) ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, და არა მარტო, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო ორგანიზაციების იმუნიზაციების შესახებ კანონის (22 შეერთებული შტატების კოდექსი 288) შესაბამისად, ან (iii), გლობალურ ფონდსა და შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს შორის გაფორმებული 2004 წლის 13 დეკემბრით დათარიღებული მთავარი ხელშეკრულების შესაბამისად.

(ბ) „ძირითადმა მიმღებმა“, „გლობალური ფონდის“ მოთხოვნისთანავე, ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა უზრუნველყოს „მასპინძელი ქვეყნის“ მიერ გლობალური ფონდის, როგორც ისეთი უწყების აღიარება, რომლებსაც საერთაშორისო ორგანიზაციები ჩვეულებრივ ანიჭებენ პრივილეგიებს და იმუნიტეტს.

მუხლი 42. მინდობილი პირი

„გლობალურმა ფონდმა“ და „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა“ („მსოფლიო ბანკი“) გააფორმეს ხელშეკრულება, რომლითაც მსოფლიო ბანკი თანახმაა, შექმნას „გლობალური ფონდისთვის“ „მინდობით მართვადი ფონდი, შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან საბრძოლველად“ („სატრასტო ფონდი“) და შეასრულოს „მინდობით მართვადი ფონდის“ მინდობილი მესაკუთრის („მინდობილი მესაკუთრე“) მომსახურება. „ძირითადი მიმღებისთვის“ მიწოდებული „გრანტის“ თანხები გადახდილი იქნება მინდობით მართვადი ფონდიდან. წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისად განსაზღვრული „გლობალური ფონდის“ ყველა ვალდებულება წარმოადგენს „გლობალური ფონდის“ ვალდებულებებს და მსოფლიო ბანკს არ აქვს პირადი პასუხისმგებლობა, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, გლობალური ფონდის ვალდებულებებზე.

მუხლი 43. აბრევიატურები

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოსაყენებლად (მათ შორის პროგრამის განხორციელების აღწერაში და წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერ სხვა დანართში), ქვემოთ წარმოდგენილ აბრევიატურებს აქვთ მათ გასწვრივ მითითებული მნიშვნელობები:

აბრევიატურა

მნიშვნელობა

ACT	Artemisinin-based Combination Therapy
AIDS	Acquired immune deficiency syndrome
ANC	Antenatal Clinic
ART	Antiretroviral therapy
ARV	Antiretroviral
BCC	Behavioral change communication
BSS	Behavior Surveillance Survey
CBO	Community-based organization
CHBC	Community Home Based Care
CCM	Country Coordinating Mechanism
CRIS	Country response information system
CT	Counseling and testing
DDT	Dichlorodiphenyltrichloroethane
DFID	United Kingdom Department for International Development
DHS	Demographic and Health Surveys
DOTS	Directly Observed Treatment, Short Course
DRS	Drug resistance surveillance
DST	Drug susceptibility testing
EML	Essential Medicines List
ERP	Expert Review Panel
FBO	Faith-based organization
GLC	Green Light Committee
GMP	Good Manufacturing Practices
GTZ	German Technical Cooperation
HAART	Highly active antiretroviral therapy
HCW	Health care worker
HDI	Human development index
HIS	Health Information System
HIV	Human Immunodeficiency Virus
HMIS	Health Management Information System
ICH	International Conference on Harmonization of Technical

	Requirements for the Registration of Pharmaceuticals for Human Use
IDU	Injecting drug user
IEC	Information education and communication
IPT	Intermittent preventive treatment
IRS	Indoor residual spraying
ITN	Insecticide-treated net
KAP	Knowledge, Attitudes and Practices survey
LFA	Local Fund Agent
LLITN	Long-lasting insecticide treated net
MDG	United Nations Millennium Development Goals
MDR-TB	Multi-drug resistant tuberculosis
M&E	Monitoring and Evaluation
MERG	Monitoring and Evaluation Reference Group
MICS	Multi indicator cluster surveys
MoH	Ministry of Health
MSM	Men who have sex with men
NAC	National AIDS Committee
NAP	National AIDS Programme
NDRA	National Drug Regulatory Authority
NGO	Non-governmental organization
NMCP	National malaria control program
NTP	National tuberculosis control program
OI	Opportunistic infection
OVC	Orphans and children made vulnerable by AIDS
PAHO	Pan American Health Organization
PHC	Primary Health Care
PEP	Post-Exposure Prophylaxis
PIC/S	Pharmaceutical Inspection Cooperation Scheme
PMTCT	Prevention of Mother to Child Transmission
PLWHA	Persons living with HIV/AIDS
PPTCT	Prevention of Parent to Child Transmission
PR	Principal Recipient
PSM	Procurement and Supply Management
RBM	Roll Back Malaria
RCM	Regional Coordinating Mechanism
RDTs	Rapid Diagnostic Tests
SR	Sub-recipient
STD	Sexually transmitted disease
STG	Standard Treatment Guidelines
STI	Sexually transmitted infection
TB	Tuberculosis
UNAIDS	Joint United Nations Programme on HIV/AIDS
UNCITRAL	United Nations Commission on International Trade Law
UNDP	United Nations Development Programme
UNESCO	United Nations Educational Scientific and Cultural Organization
UNFPA	United Nations Population Fund
UNGASS	United Nations General Assembly Special Session
UNICEF	United Nations Children's Fund
UNIDROIT	International Institute for the Unification of Private Law
USAID	United States Agency for International Development
VCT	Voluntary counseling and testing
WHO	World Health Organization
WHOPES	WHO Pesticide Evaluation Scheme

თარგმანი ინგლისურიდან ქართულად სწორია.

მთარგმნელი: ხ. კეკელიძე